

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში  
სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში  
იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიშზე  
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და  
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა  
მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის  
მიერ საქართველოს მიმართ მიღებული  
გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ



## სარჩევი

შესავალი .....	2
დისკრიმინაციის ფაქტებთან დაკავშირებული საქმეები .....	3
ფემიციდის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები .....	14
არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებული საქმეები.....	21
„მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ .....	28
„ამირიძე საქართველოს წინააღმდეგ“ .....	29
„ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ .....	34
რეკომენდაციები:.....	37

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშს, რომლითაც იგი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ალტერნატიულ შეფასებებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიშებზე საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 174-ე და 175-ე მუხლების თანახმად, საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად წარუდგენს პარლამენტს ანგარიშებს საქართველოს წინააღმდეგ გაეროს შესაბამისი კომიტეტის მიერ ინდივიდუალურ საჩივრებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ.

ალტერნატიული ანგარიში მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. მასში მიმოხილულია საქართველოს წინააღმდეგ ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის სახელმწიფოს მიერ მიღებული ზოგადი ღონისძიებები შემდეგ საქმეებში: „ცინცაბაძის ჯგუფი“, „იდენტობის ჯგუფი“, „ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, „ამირიძე საქართველოს წინააღმდეგ“ და „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“. ალტერნატიული ანგარიში ასევე შეიცავს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ზემოაღნიშნული საქმეების აღსრულების მიზნით განსახორციელებელ ზომებთან დაკავშირებით. დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ საქმეებზე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ მოსაზრებებს სახალხო დამცველი პერიოდულად უზიარებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს.

ასევე, წინამდებარე ალტერნატიულ ანგარიშში განხილულია ხანუმ ჯერიანოვას საქმეზე საქართველოს წინააღმდეგ გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საპასუხოდ, იუსტიციის სამინისტროს მიერ მითითებული ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე განხორციელებული ღონისძიებები.

## დისკრიმინაციის ფაქტებთან დაკავშირებული საქმეები

დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეები გაერთიანებულია ე.წ. „იდენტობის საქმეების ჯგუფში“.<sup>1</sup> ისინი ეხება შეკრებებისა და მსვლელობების მიმდინარეობისას კერძო პირთა მიერ ჰომოფობიის ან რელიგიური სიძულვილის ნიშნით ჩადენილი თავდასხმებისგან სახელმწიფოს მხრიდან მომჩივნების არასათანადო დაცვის, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის ნიადაგზე საპოლიციო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და აღნიშნულ ფაქტებზე ეფექტიანი გამოძიებების არარსებობის გამო მომჩივანთა უფლებების დარღვევებს. ამ ჯგუფში შემავალ ორ საქმეზე: ბელეური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ და ცარციძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა დაასრულა ზედამხედველობა აღსრულების ინდივიდუალური ღონისძიებების ნაწილში, ხოლო ზოგადი ღონისძიებების ნაწილში ზედამხედველობას აგრძელებს „იდენტობის ჯგუფის“ ფარგლებში.<sup>2</sup>

მინისტრთა კომიტეტმა „იდენტობის ჯგუფის“ საქმეების აღსრულების შესახებ ბოლო შუალედური გადაწყვეტილება 2021 წლის 2 დეკემბერს, 1419-ე სხდომაზე მიიღო.<sup>3</sup> მინისტრთა კომიტეტმა საქართველოს ხელისუფლებას შეახსენა, რომ სახელმწიფოს უპირველესი ვალდებულებაა სიძულვილით მოტივირებული ძალადობისგან დაცვა და დემოკრატიულ საზოგადოებაში თანასწორობის, პლურალიზმისა და ტოლერანტობის უზრუნველყოფა. ამ ფონზე, მინისტრთა კომიტეტმა ღრმა შეშფოთება გამოთქვა 2021 წლის 5 ივლისს „თბილისი პრაიდის“ მიერ ორგანიზებული „ღირსების მარშის“ დარბევისას განვითარებული მოვლენების გამო და მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას გამოიჩინოს მტკიცე პოლიტიკური ნება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლაში, კერძოდ კი უმაღლეს სახელისუფლებო დონეზე საჯაროდ გამონატოს ნულოვანი ტოლერანტობა (განსაკუთრებით ლგბტ+ თემის წინააღმდეგ) დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის, სიძულვილის ენისა და ძალადობის მიმართ.<sup>4</sup> მინისტრთა კომიტეტმა გადაწყვეტილებაში ხელისუფლებას მოუწოდა გაატაროს ყველა აუცილებელი ღონისძიება, მათ შორის ეფექტური საპოლიციო და უსაფრთხოების ზომები, რათა ლგბტ+ თემმა შეძლოს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებით სარგებლობა.<sup>5</sup> ასევე, საქართველოს ხელისუფლებას დაევალა აწარმოოს „ღირსების მარშის“ დარბევის ფაქტებზე სწრაფი და ყოვლისმომცველი გამოძიება, რომლის მეშვეობითაც სიძულვილის მოტივის დადგენა, პასუხისმგებელი პირების

<sup>1</sup> იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 2015 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება, საჩივარი N 73235/12; გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და 4 სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ, 2007 წლის 3 მაისის გადაწყვეტილება, საჩივარი N 71156/01; აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ, 2020 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საჩივარი № 7224/11.

<sup>2</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2020 წლის 1 ოქტომბერს მიღებული რეზოლუცია CM/ResDH(2020)200, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/38FLDxV> > ბოლოს ნანახია [09.04.2021].

<sup>3</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2021 წლის 2 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილება CM/Del/Dec(2021)1419/H46-14, ხელმისაწვდომია < <https://bit.ly/3xc1cYt> > ბოლოს ნანახია [09.04.2021].

<sup>4</sup> იქვე, § 3.

<sup>5</sup> იქვე, § 4.

იდენტიფიცირება და ადეკვატურად დასჯა იქნება შესაძლებელი.<sup>6</sup> მინისტრთა კომიტეტმა კვლავ გაუსვა ხაზი პოლიციის სტრუქტურაში სპეციალიზებული საგამოძიებო დანაყოფის შექმნის საჭიროებას და მოუწოდა ხელისუფლების ორგანოებს, გააუმჯობესონ ჰომოფობიური და რელიგიური ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოძიება, მათ შორის შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთით და დაზარალებულთა ეფექტიანი მონაწილეობით.<sup>7</sup> მინისტრთა კომიტეტმა დადებითად შეაფასა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გამოქვეყნების ახალი სისტემის დანერგვა, თუმცა ამავდროულად აღნიშნა, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ სტატისტიკის ბაზის დასახვეწად, სასურველია თუ ის დამატებით მოიცავს ასეთი დანაშაულების დინამიკისა და ტენდენციების ანალიზს.<sup>8</sup> გადაწყვეტილებაში მინისტრთა კომიტეტმა ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მუშაობა ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე, სადაც გაწერილი იქნება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებსა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა და სახელმწიფოს მოუწოდა, რომ ითანამშრომლოს სახალხო დამცველთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე მუშაობის პროცესში.<sup>9</sup>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რელიგიური უმცირესობებისა და ლგბტ+ თემის მიერ თანასწორობის უფლების რეალიზება, სამწუხაროდ, კვლავ წარმოადგენდა მწვავე პრობლემას. ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მატარებელი პირები თავიანთი მოქმედებითა და განცხადებებით ხელს უწყობდნენ ჰომოფობიური განწყობების გავრცელებას, დისკრიმინაციის წახალისებას და ამავდროს, ახორციელებდნენ ძალადობრივ ქმედებებს. თავის მხრივ, ხელისუფლება არ ატარებდა საჭირო პრევენციულ ღონისძიებებს და არც კონკრეტულ შემთხვევებზე რეაგირებდა ეფექტიანად.

ამის დასტურია 2021 წლის 5 ივლისს განვითარებული მოვლენები, რომელთა დროსაც საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო ლგბტ+ თემის, მათი აქტივისტებისა და ჟურნალისტების დაცვა და მათ მიმართ ძალადობის პრევენცია. მეტიც, სწორედ მაღალი თანამდებობის პირების განცხადებები იყო ჩადენილი ძალადობის წამახალისებელი. ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, ლგბტ+ თემისა და მათი მხარდამჭერების მიმართ ძალადობის მაღალი რისკის არსებობა, ვინაიდან 5 ივლისის მოვლენებს კონკრეტული პირების მხრიდან ძალადობისკენ და ამ მიზნით საზოგადოების გარკვეული ჯგუფების მობილიზებისკენ საჯარო მოწოდებები უძღოდა წინ. მიუხედავად ამისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ მიიღო ეფექტიანი

<sup>6</sup> იქვე, § 5.

<sup>7</sup> იქვე, § 6.

<sup>8</sup> იქვე, § 7.

<sup>9</sup> იქვე § 8.

ზომები ძალადობის თავიდან ასარიდებლად და სამწუხაროდ, არც ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან უფლებადარღვევის ფაქტებზე რეაგირება იყო სათანადო.

დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრევენციის მიზნით სახელმწიფოს მიერ გატარებულ ზოგად ღონისძიებებს შორის იუსტიციის სამინისტრო პარლამენტის წინაშე წარდგენილ ანგარიშში, გასული წლის ანგარიშის მსგავსად, 2020 წლის სექტემბრიდან შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სპეციალიზებული პროკურორების საქმიანობაზე მიუთითებს, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ხაზგასმულია ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობა, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიების ხარისხის მონიტორინგის მიმართულებით.<sup>10</sup> უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი ინფორმაციები იუსტიციის სამინისტრომ ასევე მიაწოდა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს „იდენტობის ჯგუფის“ საქმეების აღსრულებაზე ზედამხედველობის ფარგლებში.<sup>11</sup> მიუხედავად ამისა, მინისტრთა კომიტეტმა 2021 წლის დეკემბერში მიღებულ გადაწყვეტილებაში, წინა არაერთი გადაწყვეტილების მსგავსად, სახელმწიფოს კვლავ მიუთითა პოლიციის სტრუქტურაში სპეციალიზებული საგამოძიებო დანაყოფის შექმნის საჭიროებაზე.<sup>12</sup> შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ გატარებული ზემოაღნიშნული ღონისძიებები, პროკურორთა სპეციალიზაციისა და შსს-ს სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობის კუთხით, ვერ ჩაითვლება ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის დავალების შესრულებად, რომელიც შსს სისტემაში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოსაძიებლად სპეციალური დანაყოფის შექმნას გულისხმობს, მათ შორის, იმის გამოც, რომ სახელმწიფოს მიერ მითითებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ზემოაღნიშნული დეპარტამენტი უშუალოდ საგამოძიებო ფუნქციით აღჭურვილი არ არის. აღსანიშნავია, რომ მინისტრთა კომიტეტის მსგავსი რეკომენდაცია საქართველომ არაერთ საერთაშორისო ფორმატში მიიღო, როგორც გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-2<sup>13</sup> და მე-3<sup>14</sup> ციკლის ფარგლებში, ასევე რასიზმისა და

<sup>10</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ.56; 58, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 52; 55

<sup>11</sup> საქართველოს სახელმწიფოს სამოქმედო ანგარიში (08.10.2021) - საქმეზე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი No. 73235/12), §§ 10-11, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3JSLIAA> > [ბოლოს ნანახია 09.04.2021].

<sup>12</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2021 წლის 2 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილება CM/Del/Dec(2021)1419/H46-14, § 6, ხელმისაწვდომია < <https://bit.ly/3xc1cYt> > [ბოლოს ნანახია 09.04.2021].

<sup>13</sup> გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-2 ციკლი, რეკომენდაცია - 118.10: შეიქმნას სპეციალური პოლიციური დანაყოფი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოსაძიებლად, მჭიდრო თანამშრომლობით ლგბტ საზოგადოებასთან და ორგანიზაციებთან, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის დასამყარებლად (შვედეთი).

<sup>14</sup> გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-3 ციკლი, რეკომენდაცია 148.73 უზრუნველყავით სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამონატყის საფუძველზე

შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომისიისგანაც (ECRI).<sup>15</sup> ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალურ პროკურატურას, რომლითაც სამართალდამცავ უწყებებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების სპეციალიზებული დანაყოფის შექმნისკენ მოუწოდა<sup>16</sup>.

დამატებით, იუსტიციის სამინისტრო პარლამენტის წინაშე წარდგენილ ანგარიშში აპელირებს, რომ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, განხორციელებული რეფორმის შედეგად და საპროკურორო საბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი შეიქმნა.<sup>17</sup> საქართველოს გენერალური პროკურატურის განმარტებით ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით პროკურორთა საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო, რომელიც 2012 წლიდან ფუნქციონირებდა, გაძლიერდა და დეპარტამენტად გარდაიქმნა. დეპარტამენტის დებულებიდან გამომდინარე,<sup>18</sup> მისი ფუნქციები არ მოიცავს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებას. შესაბამისად, სახალხო დამცველის შეფასებით, შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მსგავსად, ვერც აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს მინისტრთა კომიტეტის მოწოდების შესრულებას პოლიციის სტრუქტურაში სპეციალიზებული საგამოძიებო დანაყოფის შექმნის თაობაზე.

სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს საქართველოს პროკურატურის, უზენაესი სასამართლოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საიტზე შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების 2021 წლის სტატისტიკის გამოქვეყნებას.<sup>19</sup> ამავდროულად, განმეორებით მიუთითებს, რომ საჭიროა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამომწვევი რისკ-ფაქტორებისა და მისი გამოვლენის

---

სიძულვილის დანაშაულის პრევენცია, გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა სამართალდამცავ სისტემაში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების დანაყოფის შექმნით (ირლანდია);  
<sup>15</sup> რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის(ECRI) 2019 წლის 5 მარტის დოკუმენტი. გვ. 5, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/2AT5BV4> > [ბოლოს ნანახია 23.04.2021].

<sup>16</sup> სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება საგამოძიებო ორგანოებს, 2020 წლის 18 აგვისტო, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/2WeeAe4> , > [ბოლოს ნანახია 23.08.21]

<sup>17</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 54-55.

<sup>18</sup> 2022 წლის 4 მარტს საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ მიღებული ბრძანება №008 „საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

<sup>19</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 52-53;) საქართველოს სახელმწიფოს სამოქმედო ანგარიში (08.10.2021) - საქმეზე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი No. 73235/12), § 12.



ხელისშემშლელი გარემოებების გაანალიზებაც.<sup>20</sup> აღნიშნულის თაობაზე სახალხო დამცველმა ასევე მიუთითა იდენტობის ჯგუფის საქმეებზე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის წინაშე წარდგენილ კომუნიკაციაშიც.<sup>21</sup> საგულისხმოა, რომ მინისტრთა კომიტეტმა გაიზიარა სახალხო დამცველის აპარატის მოსაზრებები და 2021 წლის დეკემბრის გადაწყვეტილებით ხელისუფლებას მოუწოდა გააუმჯობესოს სტატისტიკური მონაცემთა ბაზა, მათ შორის, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების დინამიკისა და ტენდენციების ანალიზის გამოქვეყნებით.<sup>22</sup> ამ დავალების საპირისპიროდ, სახალხო დამცველის ოფისის შეფასებით, ხელისუფლება „არ აანალიზებს ლგბტ+ ჯგუფის მიმართ საზოგადოებრივ დამოკიდებულებებს და არ იკვლევს დისკრიმინაციის ძირითად გამომწვევ მიზეზებს“.<sup>23</sup> შესაბამისად, მხოლოდ მშრალი მონაცემების შეგროვება სიღრმისეული ანალიზის გარეშე არ არის საკმარისი შეუწყნარებლობის მიზეზების იდენტიფიცირებისა და მათი აღმოფხვრისათვის.

იუსტიციის სამინისტროს მიერ პარლამენტისადმი წარდგენილ ანგარიშში ასევე მითითებულია ევროპის საბჭოს კვლევის შედეგებზე, კერძოდ აღნიშნულია, რომ „ქართულ საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნების შესახებ ინფორმირებულობის დონე და ამ საკითხის მიმართ დადებითი დამოკიდებულება 2018-დან 2021 წლამდე პერიოდში გაზრდილია“<sup>24</sup> და „2018 წელთან შედარებით საზოგადოება უფრო მეტად გათვითცნობიერებულია და მეტი მიმღებლობა აქვს უმცირესობების უფლებების მიმართ“.<sup>25</sup> საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს ხსენებულ ცვლილებებს, თუმცა, ამავდროულად, ყურადღებას ამახვილებს კვლევის იმ მიგნებებზე, რომლებიც მიანიშნებს კონკრეტული მიმართულებებით ცნობიერების გაზრდის საჭიროებას. კვლევის თანახმად, „ძალიან მცირე ან სულაც არანაირი ცვლილება არ ვლინდება დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ცოდნაში. სამართლებრივი დაცვის არსებული მექანიზმების შესახებ ინფორმაციის ქონა და მათი ეფექტიანობის

---

<sup>20</sup> სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიშზე „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ“, გვ. 6, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3801ebc> > [ბოლოს ნანახია 14.04.2022].

<sup>21</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ოქტომბრის კომუნიკაცია იდენტობის ჯგუფის საქმეების შესახებ, გვ. 4, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/30ICdb3> > [ბოლოს ნანახია 14.04.2022].

<sup>22</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2021 წლის 2 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილება CM/Del/Dec(2021)1419/H46-14, § 7.

<sup>23</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 157, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3xw8hTQ> > [ბოლოს ნანახია 09.04.2021].

<sup>24</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 56.

<sup>25</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 57.



შეფასებაც იმავე დონეზე რჩება”.<sup>26</sup> აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ გააძლიეროს მუშაობა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობასა და დისკრიმინაციისგან დაცვის მექანიზმებზე ცნობიერების ამაღლების კუთხით.

და ბოლოს, სახალხო დამცველი ეხმარება სახელმწიფოს მიერ „იდენტობის ჯგუფის საქმეებზე“ მინისტრთა კომიტეტში წარგდენილ 2021 წლის 16 ნოემბრის კომუნიკაციას, სადაც იუსტიციის სამინისტრო აცხობინებს კომიტეტს, რომ მიმდინარეობს ადამიანის უფლებათა 10 წლიან სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე მუშაობა ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის სახალხო დამცველის აპარატის ჩართულობით.<sup>27</sup> სახალხო დამცველის აცხადებს, რომ აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. სახალხო დამცველის აპარატი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების სამუშაო პროცესში დღეის მდგომარეობითაც არ არის ჩართული და მეტიც, არ გააჩნია კონკრეტული ინფორმაცია მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

#### I. ლგბტ+ თემის შეკრების თავისუფლება და ფიზიკური უსაფრთხოება

საქართველოში ლგბტ+ თემი, სამწუხაროდ, უკვე წლების განმავლობაში ვერ სარგებლობს შეკრების თავისუფლებით ქვეყანაში გავრცელებული ჰომოფობიის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების და მათი ფიზიკური უსაფრთხოების ხელყოფის სერიოზული რისკის გამო. ამ თვალსაზრისით, 2021 წელს მდგომარეობა არათუ გაუმჯობესდა, არამედ მკვეთრად გაუარესდა, რასაც ადასტურებს 2021 წლის 5 ივლისის განვითარებული მოვლენები.

„თბილისი პრაიდის“ მიერ ორგანიზებული „პრაიდის კვირეულის“ ფარგლებში 2021 წლის 5 ივლისს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე უნდა გამართულიყო „ღირსების მარში“, რომლის მიზნები იყო ლგბტ+ თემის პრობლემების შესახებ საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება, სოლიდარობის გამოხატვა.<sup>28</sup> წინა წლების მსგავსად, ვერც 2021 წელს მოხერხდა „ღირსების მარშის“ ჩატარება. 2021 წლის 5 ივლისს, ძალადობრივი ჯგუფები „ღირსების მარშის“ ჩასაშლელად რუსთაველის გამზირზე დილიდან შეიკრიბნენ. მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალადობრივ ქმედებებს, რაც, დღის განმავლობაში, სამართალდამცავი უწყებების უმოქმედობამ მნიშვნელოვნად წაახალისა. ძალადობრივი ჯგუფები ლგბტ+ თემის წევრებს, სამოქალაქო აქტივისტებს, ადგილზე მოვლენების გასაშუქებლად მისულ მედიის წარმომადგენლებს და სხვა მოქალაქეებს ემოქრებოდნენ, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, ქუჩა-ქუჩა

<sup>26</sup> ევროპის საბჭო, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: ცოდნა და დამოკიდებულება, 2022, გვ. 59-60, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3KOeka5> > [ბოლოს ნანახია 14.04.2022].

<sup>27</sup> ხელისუფლების კომუნიკაცია (16.11.2021) საქმეზე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი No. 73235/12), ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3uUD1fE> > [ბოლოს ნანახია 14.04.2022]

<sup>28</sup> 5 ივლისის "თბილისი პრაიდი" "ღირსების მარშს" გამართავს, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3Jq9aj4> > [ბოლოს ნანახია 09.09.2021].

დევნიდნენ და ფიზიკურად უსწორდებოდნენ.<sup>29</sup> ასევე დაამტკრიეს მედიის ტექნიკა და დააზიანეს სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისი.<sup>30</sup> ოფისის სადარბაზოში სასტიკად სცემეს ტვ „პირველის“ ოპერატორი ლექსო ლაშქარავა რომელიც ძალადობრივად, სამწუხაროდ, რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. ძალადობრივი ჯგუფები ასევე აძვრნენ „თბილისი პრაიდის“ ოფისის აივანზე, დახიეს ჩამოკიდებული ცისარტყელის დროშა და დაარბიეს ოფისი, ამასთანავე პიროტექნიკა შეაგდეს „ადამიანის უფლებათა სახლის“ ეზოში, სადაც ლგბტ+ თემის წევრები და სამოქალაქო აქტივისტები მათგან თავს აფარებდნენ.<sup>31</sup>

ძალადობრივი ჯგუფები 5 ივლისამდე წინასწარ აცხადებდნენ, რომ რუსთაველის გამზირზე განახორციელებდნენ ხალხის მობილიზებას და ჩაშლიდნენ „ღირსების მარშს“, მეტიც, ღიად გამოცხადდა, რომ მოსალოდნელი იყო მსხვერპლიც.<sup>32</sup> დამატებით, წინა წლების გამოცდილებაზე დაყრდნობით, როდესაც ჰომოფობიური კონტრ-დემონსტრაციის მონაწილეები არაერთხელ დაესხნენ თავს ლგბტ+ თემის წევრებს, რომლებიც შეკრების/მსვლელობის გამართვას ცდილობდნენ,<sup>33</sup> ხელისუფლებამ იცოდა (უნდა სცოდნოდა) იმ რისკების შესახებ, რომელიც მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ 2021 წლის 5 ივლისს არსებობდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ჰომოფობიური ძალადობის თავიდან ასაცილებლად სათანადო პრევენციული და რეაქციული ზომები არ მიიღო. ევროპული სასამართლოს სტანდარტების თანახმად, მშვიდობიან დემონსტრანტებს, კონკრეტულ შემთხვევაში კი ლგბტ+ თემს სახელმწიფოს მხარდაჭერით უნდა შეეძლოს დემონსტრაციის ჩატარება პოტენციური ძალადობის შიშის გარეშე მაშინაც, როდესაც დემონსტრაციაზე გასაუფრებელი იდეები ეწინააღმდეგება უმრავლესობის პოზიციას.<sup>34</sup> შესაბამისად, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს ლგბტ+ თემის მიერ შეკრების თავისუფლებით სარგებლობა, მათ შორის, საკმარისი საპოლიციო ძალის მობილიზებით,<sup>35</sup> რაც

<sup>29</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, გვ. 40, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივას ანგარიში „05.07.21 მარში ღირსების გარეშე“, გვ. 13-15, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3xRZZWH> > [ბოლოს ნანახია 09.04.2021].

<sup>30</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, გვ. 40; „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივას“ ანგარიში „05.07.21 მარში ღირსების გარეშე“, გვ. 15.

<sup>31</sup> საქართველოს დემოკრატიული ინიციატივას ანგარიში „05.07.21 მარში ღირსების გარეშე“, გვ. 13-15; საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, გვ. 40.

<sup>32</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, გვ. 41; „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივას“ ანგარიში „05.07.21 მარში ღირსების გარეშე“, გვ. 8-9, 12.

<sup>33</sup> 17 მაისის 9 წელი საქართველოში, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3KWNyCH> > [ბოლოს ნანახია 09.04.2021]; 17 მაისის 8 წლიანი ქრონიკა, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3KlxJyV> > [ბოლოს ნანახია 09.04.2021]

<sup>34</sup> იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 2015 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება, საჩივარი N73235/12, § 95.

<sup>35</sup> იქვე, § 95, § 99.

ხელისუფლებამ არ შეასრულა 2021 წლის 5 ივლისს. კერძოდ, რუსთაველის გამზირზე არ იყო მობილიზებული პოლიციელთა საკმარისი რაოდენობა.<sup>36</sup> მათი საკმარისი ოდენობით მობილიზება არც მოვლენების ძალადობრივად განვითარების პარალელურად განხორციელდა. საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, რომელიც 2013 წლის 17 მაისს, თბილისში, ლგბტ თემისა და მხარდამჭერების მიმართ განხორციელებულ თავდასხმებს შეეხებოდა, სასამართლომ აღნიშნა, რომ 2013 წლის 17 მაისს განხორციელებული ძალადობის მასშტაბებზე სწორედ ხელისუფლების უმოქმედობამ და ლგბტ+ თემზე წარსულში განხორციელებული თავდასხმის ფაქტებთან მიმართებით სახელმწიფოს მიერ დროული და ობიექტური გამოძიების ჩაუტარებლობამ მოახდინა ზეგავლენა.

5 ივლისის მოვლენები ცხადყოფს, რომ ხელისუფლება არა მხოლოდ არ უზრუნველყოფს ლგბტ+ თემის კონსტიტუციური უფლებების დაცვას, არამედ, რიგ შემთხვევებში, ლეგიტიმაციასაც კი უკეთებს თემის წინააღმდეგ განწყობილი ძალადობრივი ჯგუფების ქმედებებს. სამწუხაროდ, მაღალი თანამდებობის პირთა წინმსწრებმა დისკრიმინაციულმა განცხადებებმა 5 ივლისის ძალადობა წააქეზა. კერძოდ, თბილისის მერმა, კახა კალაძემ პრაიდის კვირეულს მიზანშეუწონელი უწოდა,<sup>37</sup> ხოლო მმართველი პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ კვირეულის შესახებ განაცხადა, რომ ორგანიზატორებს უარი უნდა ეთქვათ მის გამართვაზე.<sup>38</sup> უშუალოდ 5 ივლისს პრემიერ მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა „ღირსების მარში“ სამოქალაქო დაპირისპირების გამომწვევ მიზეზად შეაფასა და აღნიშნა, რომ პრაიდის უკან „რევანშისტული და რადიკალური“ პოლიტიკური ძალები დგანან. გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრმა პირდაპირ მიუთითა, რომ მოსახლეობის უმრავლესობისთვის მიუღებელი „ღირსების მარში“ არ უნდა ჩატარებულიყო,<sup>39</sup> ხოლო შსს-მ საჯაროდ მოუწოდა ორგანიზატორებს უარი ეთქვათ მარშის გამართვაზე.<sup>40</sup> დამატებით, პრემიერ მინისტრმა 5 ივლისის შემდეგაც გააკეთა ჰომოფობიის წამახალისებელი განცხადება, როდესაც აღნიშნა, რომ ღირსების მარში იყო პროვოკაციული და პროპაგანდისტული და მის ჩატარებას ეწინააღმდეგებოდა მოსახლეობის 95%, რომელსაც ყველა უნდა დამორჩილებოდა.<sup>41</sup>

იმედს ვიტოვებთ, რომ საქართველოს ხელისუფლება გაითვალისწინებს „იდენტობის ჯგუფის საქმეებზე“ მინისტრთა კომიტეტის მიერ 2021 წლის დეკემბერში მიღებულ

<sup>36</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 184.

<sup>37</sup> თბილისის მერი "პრაიდის კვირეულის" გამართვას მიზანშეუწონილად არ მიიჩნევს, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3jPNI1W> > [ბოლოს ნანახია 09.04.2021].

<sup>38</sup> კობახიძე პრაიდის კვირეულზე: სრული კონტექსტის გათვალისწინებით, უარი უნდა ეთქვათ ჩატარებაზე, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3LRohUf> > [ბოლოს ნანახია 09.04.2021].

<sup>39</sup> ღარიბაშვილი: დაანონსებული ღირსების მარში მიმაჩნია მიზანშეუწონილად, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3v8U7oD> > [ბოლოს ნანახია 09.04.2021].

<sup>40</sup> შსს პრაიდის გუნდს მოუწოდებს, უარი თქვან საჯარო სივრცეში მარშის გამართვაზე, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3JUhyHZ> > [ბოლოს ნანახია 09.04.2021].

<sup>41</sup> პრემიერი „ღირსების მარშზე“: „მოსახლეობის 95% არის წინააღმდეგი პროპაგანდისტული მარშის“, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3jQREtP> > [ბოლოს ნანახია 09.04.2021].

გადაწყვეტილებას და გამოავლენს მტკიცე პოლიტიკურ ნებას სიძულვილის დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. ასევე, მაღალი თანამდებობის პირები გამონატავენ მკაფიო მხარდაჭერას თანასწორუფლებიანობის სასარგებლოდ და მომავალში უზრუნველყოფენ ლგბტ+ თემისთვის შეკრების თავისუფლების რეალიზებას.<sup>42</sup>

II. სიძულვილით მოტივირებული სხვა (სავარაუდო) დანაშაულები ლგბტ+ თემისა და რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ

2021 წელს, დაფიქსირდა სიძულვილით მოტივირებული სხვა (სავარაუდო) დანაშაულები როგორც ლგბტ+ თემის, ისე რელიგიური უმცირესობების წევრების წინააღმდეგ. აღნიშნული დანაშაულების შესახებ სახალხო დამცველის აპარატში მომართვიანობა, როგორც წესი, სტაბილურად მაღალია იეჰოვას მოწმეებისა და ლგბტ+ ადამიანების მხრიდან.<sup>43</sup>

საყურადღებოა, რომ 2021 წლის 5 ივლისის მოვლენების შემდეგ სექსისტური და ჰომოფობიური ძალადობის შემთხვევები გახშირდა, მაგალითად, „თავდასხმა პოლონელ ტურისტზე, ჰომოფობიური ძალადობა გერმანელ დიქეიზე, თავდასხმა და ძალადობის განხორციელებული ფაქტები ტრანსგენდერ ქალზე“.<sup>44</sup>

ლგბტ+ თემის წევრების მიმართ სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ნაწილი, როგორც წესი, გამოიხატება ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის, ცემის, თავდასხმისა და სიცოცხლის მოსპობის მუქარის სახით.<sup>45</sup> გარდა ამისა, განმცხადებლები აცხადებენ, რომ გამოძახების ადგილას მისული სამართალდამცავები თავად აყენებენ მათ შეურაცხყოფას და გამონატავენ აგრესიას ჰომოფობიურ ნიადაგზე.<sup>46</sup> სახალხო დამცველის წარმოებაში არსებულ საქმეებში ასევე იკვეთება ტრანსფობიურ ნიადაგზე ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები.<sup>47</sup>

რაც შეეხება რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ (სავარაუდო) დანაშაულებს, 2021 წელსაც საყურადღებო იყო იეჰოვას მოწმეთა საკუთრების დაზიანების შემთხვევები. ერთ-ერთი განცხადების მიხედვით, მაგალითად, 2021 წლის 25 მარტს მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში ასაფეთქებელი ნივთიერებით დააზიანეს იეჰოვას მოწმეთა რელიგიური შეკრებების დარბაზი, სადაც 30 აპრილს

<sup>42</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2021 წლის 2 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილება CM/Del/Dec(2021)1419/H46-14, §§ 3-4.

<sup>43</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 141.

<sup>44</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, გვ. 61.

<sup>45</sup> იქვე, გვ. 62.

<sup>46</sup> იქვე.

<sup>47</sup> იქვე.

შელწევა კლავ სცადა, სავარაუდოდ, იმავე პირმა.<sup>48</sup> იეჰოვას მოწმეთა საკუთრების დაზიანებისა და მოპარვის მცელობები დაფიქსირდა მარნეულში, ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელსა და გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში, ხოლო 2021 წლის 5 აგვისტოს ახალციხეში უცნობმა პირმა/პირებმა საღებავით შეურაცხყოფელი წარწერები და გამოსახულებები დატოვეს იეჰოვას მოწმეთა დარბაზის ღობეზე.<sup>49</sup> გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში საყურადღებო იყო სოფელ ბუკნარში განვითარებული მოვლენები. კერძოდ, სოფელში მუსლიმი მოსახლეობის მიერ სამლოცველო სახლის გახსნას ქრისტიანი მაცხოვრებლები შეეწინააღმდეგნენ, რაც 2021 წლის იანვარში ფიზიკურ და სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა.<sup>50</sup> სახალხო დამცველის შეფასებით, შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებას არ აქვს მსგავსი შემთხვევების პრევენციის ერთიანი პოლიტიკა და შემოიფარგლება მხოლოდ ინდივიდუალური შემთხვევების ერთჯერადი მოგვარების მიდგომით.

სამწუხაროდ, ბუკნარის კონფლიქტი არ არის პირველი შემთხვევა და წინა წლებში მუსლიმი თემის მიმართ სავარაუდო უფლებადარღვევის ფაქტები ასევე დაფიქსირდა სამთაწყაროში, ნიგვზიანში, წინწყაროში, ქობულეთსა და ადიგენის სოფელ მოხეში.<sup>51</sup>

### III. ლგბტ+ თემისა და რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება

იუსტიციის სამინისტროს ანგარიშის თანახმად, „2021 წელს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა იდენტიფიცირების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა“,<sup>52</sup> რასაც სახალხო დამცველი მიესალმება. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში კვლავ მწვავე პრობლემას წარმოადგენდა ლგბტ+ თემისა და რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ სიძულვილით მოტივირებული (სავარაუდო) დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება. სახალხო დამცველის შეფასებით, მართალია, შესამჩნევია სიძულვილის მოტივის გამოკვეთის გაუმჯობესებული ტენდენცია, თუმცა, კვლავ გამოწვევად რჩება აღნიშნულ საქმეებზე გამოძიების გაჭიანურება და ასევე, მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება.<sup>53</sup>

საქმეთა არადროული შესწავლის პირობებში, სავარაუდო დანაშაულის მსხვერპლს

<sup>48</sup> იქვე, გვ. 62-63

<sup>49</sup> იქვე, გვ. 63.

<sup>50</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 166.

<sup>51</sup> იქვე, გვ. 167.

<sup>52</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 52.

<sup>53</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 169.

ეუფლება უსამართლობისა და დაუცველობის განცდა, რაც, შედეგობრივად, მნიშვნელოვნად ამცირებს სამართალდამცავი ორგანოებისადმი ნდობას”.<sup>54</sup>

ამასთანავე, არის შემთხვევები, როდესაც გამოძიების შეწყვეტის შემდეგ, ფაქტი კვალიფიცირდება როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, თუმცა, პირის სამართალდამრღვევად ცნობის შემთხვევაშიც, შესაბამისი გადაწყვეტილებიდან არ იკვეთება, რომ მსხვერპლს ზიანი დისკრიმინაციული საფუძვლით მიადგა, ვინაიდან დღეს მოქმედი ადმინისტრაციული კანონმდებლობა არ გამოყოფს დისკრიმინაციულ მოტივს, როგორც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ ერთ-ერთ გარემოებას და არც ამ მოტივის აღნიშვნის შესაძლებლობას იძლევა. ეს მნიშვნელოვნად ართულებს სავარაუდო სიძულვილით მოტივირებულ საქმეებზე გამართული სტატისტიკის წარმოებას და ზრდის შესაძლებლობას, ყურადღების მიღმა დარჩეს სიძულვილის მოტივით ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ფაქტები

ლგბტ+ თემის წინააღმდეგ სიძულვილის დანაშაულების გამოძიების თვალსაზრისით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს 2021 წლის 5 ივლისს ღირსების მარშის დარბევის კონტექსტში განვითარებული მოვლენების გამოძიება. სახელმწიფომ დააკავა და ბრალი წაუყენა 31 პირს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 160-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების „ა“ ქვეპუნქტებითა და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის, ხოლო დაზარალებულად ცნო 59 ინდივიდი და 1 იურიდიული პირი.<sup>55</sup> სახალხო დამცველის შეფასებით, ინდივიდუალური მოძალადეების მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევები, ლგბტ+ თემის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის კუთხით შექმნილი მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, საკმარისი რეაგირების ფორმად ვერ ჩაითვლება. ამის საწინააღმდეგოდ, მნიშვნელოვანია როგორც ამგვარი ძალადობის ორგანიზატორების მიმართ მკაცრი მიდგომის გამოვლენა სახელმწიფოს მხრიდან, ასევე, სხვა ეფექტიანი და დროული პრევენციული ღონისძიებების გატარება ძალადობის თავიდან ასარიდებლად.

სამწუხაროდ, 5 ივლისს მომხდარ მასშტაბურ ძალადობრივ ფაქტებთან მიმართებით საქართველოს პროკურატურას ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და წახალისების ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნა არცერთი პირის მიმართ არ დაუწყია, მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველმა საქართველოს პროკურატურას ზურაბ მახარაძისა და სპირიდონ ცქიფურიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით მიმართა. ზურაბ მახარაძის მიმართ დევნის დაწყების

<sup>54</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, გვ. 64, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/38P1SbU> > [ბოლოს ნანახია 14.04.2022].

<sup>55</sup> ხელისუფლების კომუნიკაცია (16.11.2021) საქმეზე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი No. 73235/12).



წინადადებას საფუძვლად დაედო საჯაროდ გავრცელებული ვიდეომასალები, რომლითაც დასტურდება, რომ 5 ივლისის ძალადობრივ მოვლენებამდე „ალტ-ინფოს“ ეთერით ზურაბ მახარაძე და სხვა პირები განუწყვეტლივ ანონსებდნენ ძალადობას „თბილისი პრაიდის“ მიერ დაგეგმილ ღონისძიებაში მონაწილე პირთა მიმართ. ძალადობრივი მოწოდებები ისმოდა ჟურნალისტთა მიმართაც. ამავე პირებმა, სატელევიზიო ეთერით გაავრცელეს ინფორმაცია ჯგუფების შექმნის შესახებ, რომელთა უშუალო დანიშნულება უნდა ყოფილიყო 5 ივლისის ძალადობა. სახალხო დამცველის წინადადებაში დასაბუთებულია, რომ 5 ივლისის ზურაბ მახარაძე უშუალოდ ხელმძღვანელობდა ჯგუფურ ძალადობას, მათ შორის, საკანონმდებლო ორგანოს წინ დადგმული საპროტესტო კარავების გატანასა და მოძრაობა „სირცხვილიასა“ და „თბილისი პრაიდის“ ოფისების დარბევის მიზნით სხვადასხვა ჯგუფების გამოყოფას.<sup>56</sup> რაც შეეხება დეკანოზ სპირიდონ ცქიფურიშვილს, მან 5 ივლისის პარლამენტის წინ შეკრებილებს ხმის გამაძლიერებლით მოუწოდა ძალადობისკენ, რაც ცდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს და სისხლის სამართლის კოდექსის 239<sup>1</sup> მუხლით აკრძალული ქმედებაა-ძალადობის მოწოდება, რომელიც ქმნის ძალადობრივი ქმედების ჩადენის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.<sup>57</sup> სამწუხაროა, რომ პროკურატურამ არ გაიზიარა სახალხო დამცველის წინადადება მიუხედავად იმისა, რომ, სახალხო დამცველის შეფასებით, საჯაროდ გავრცელებული მტკიცებულებები, სულ მცირე, ზემოაღნიშნული 2 პირის მიმართ შესაბამისი ბრალის წარდგენის სტანდარტს აღწევს.<sup>58</sup> ეს კიდევ უფრო ამძაფრებს დაუსჯელობის გარემოს და ცხადია კიდევ უფრო მეტად ახალისებს ლგბტ+ თემის წარმომადგენლების და აქტივისტების მიმართ ძალადობას.

### ფემიციდის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები

2021 წლის 8 ივლისის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე „თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ“, რომლითაც საქართველოს სახელმწიფო პასუხისმგებლად ცნო 2014 წელს მომხდარი ფემიციდის გამო,<sup>59</sup> ხოლო 2021 წლის 25 ოქტომბერს გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება *ხანუმ ჯეირანოვას საქმეზე*, სადაც ასევე დადგინდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ქალის მიმართ გენდერული ნიშნით და ღირსების სახელით ჩადენილი ძალადობის გამო, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია.<sup>60</sup>

<sup>56</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, გვ. 41.

<sup>57</sup> იქვე, გვ. 42.

<sup>58</sup> იქვე.

<sup>59</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ.113

<sup>60</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, გვ. 12.

იუსტიციის სამინისტრო პარლამენტის წინაშე წარდგენილ ანგარიშებში აღნიშნავს, რომ მოცემული საქმეების აღსრულებასთან დაკავშირებით კონკრეტული სამოქმედო გეგმები ანგარიშის პარლამენტში წარდგენის დროისთვის არ იყო მზად, თუმცა მათ წარდგენას გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტებში სახელწმიფო დადგენილ 6 თვიან ვადაში გეგმავს.<sup>61</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, პარლამენტის წინაშე წარდგენილ ანგარიშში იუსტიციის სამინისტრო მხოლოდ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სახელმწიფოს მიერ გატარებული ზოგადი ღონისძიებების მიმოხილვით შემოიფარგლა.<sup>62</sup> შესაბამისად, სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიშის წინამდებარე თავში სახელწმიფოს მიერ გატარებულ ზოგად ღონისძიებებს შევაფასებთ.

იუსტიციის სამინისტროს ანგარიშის თანახმად ოჯახურ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი ყოველწლიური ზრდის ტენდენციით ხასიათდება და ასევე, 2021 წელს გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.<sup>63</sup> სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნულ ფაქტს, თუმცა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კვლავ იკვეთება ხარვეზები ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევების როგორც გამოძიების, ისე მართლმსაჯულების განხორციელების სხვა ეტაპებზე. კვლავ პრობლემურია სამართალდამცავი უწყებების მიერ ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევების სისტემატურობის გამოვლენა და მისი ერთიან დანაშაულად აღქმა. მსგავს შემთხვევებზე სამართალდამცავი პირების რეაგირება ფრაგმენტულია და შესაძლო მსხვერპლს განმეორებითი ძალადობისგან ვერ იცავს.<sup>64</sup> ასევე პრობლემურია ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რისკების სწორი შეფასება. საანგარიშო პერიოდში კვლავ დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც კონკრეტულ შემთხვევებზე გამოძიების დაწყების მიუხედავად, განმეორებითი ძალადობის თავიდან აცილება მაინც ვერ მოხერხდა.

შესაბამისად, საჭიროა სამართალდამცავი პირების მხრიდან დამატებითი ძალისხმევა ქალის მიმართ და ოჯახში შესაძლო ძალადობის შემთხვევებზე რისკების სწორად შესაფასებლად. აღნიშნულთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტრო პარლამენტის წინაშე წარდგენილ ანგარიშში მიუთითებს, რომ 2020 წელს, ამოქმედდა ელექტრონული

---

<sup>61</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 114; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, გვ. 12.

<sup>62</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, გვ. 12-21.

<sup>63</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, გვ. 13.

<sup>64</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2021 წელი; გვ. 151.

ზედამხედველობის სისტემა, კერძოდ „ელექტრონული ზედამხედველობა გამოიყენება ძალადობის განმეორების მაღალი რისკის არსებობის შემთხვევაში, მსხვერპლის თანხმობით. ელექტრონული მონიტორინგი ზრდის მსხვერპლის დაცულობის ხარისხს, თუმცა, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის მიუხედავად, მსხვერპლები უმეტეს შემთხვევაში უარს აცხადებენ შემაკავებელი ორდერის მოქმედების პარალელურად ელექტრონული ზედამხედველობის დაწესებაზე, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ცნობიერების დაბალი დონით, მოძალადის „დანდობის“ საფუძვლით, საზოგადოების სტერეოტიპული, უარყოფითი დამოკიდებულებით და ა. შ.“<sup>65</sup>

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლო მოძალადეებისთვის ელექტრონული მეთვალყურეობის სისტემა დაინერგა, შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან ერთად შესაძლო მოძალადეების მიმართ ელექტრონული სამაჯურის გამოყენების მაჩვენებელი უკიდურესად დაბალია.<sup>66</sup> კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2021 წელს ოჯახში ძალადობის ფაქტებზე 9376 შემაკავებელი ორდერი, ხოლო ქალის მიმართ ძალადობის ფაქტებზე 744 შემაკავებელი ორდერი გამოიცა. ხოლო ელექტრონული ზედამხედველობა ოჯახში ძალადობის ფაქტებზე მხოლოდ 14 პირის, ხოლო ქალის მიმართ ძალადობის ფაქტზე 1 პირის მიმართ დაწესდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, იუსტიციის სამინისტრო ელექტრონული სამაჯურის გამოყენების დაბალ მაჩვენებელს მსხვერპლების ცნობიერების დაბალი დონითა და საზოგადოების სტერეოტიპული, უარყოფითი დამოკიდებულებით ხსნის.<sup>67</sup> სახალხო დამცველის შეფასებით, სამართალდამცავმა უწყებებმა, უპირველეს ყოვლისა, სათანადოდ უნდა შეაფასონ ქალის მიმართ ან ოჯახში ძალადობის გამეორების რისკი. ამასთანავე, სახელმწიფოს ვალდებულებაა როგორც დაზარალებული ქალების ინფორმირება ხსენებული რისკის შესახებ, ისე მათი ცნობადობის ამაღლება ელექტრონული სამაჯურების გამოყენების მიზნების და სარგებლიანობის შესახებ, ასევე მათი დარწმუნება - ითანამშრომლონ სამართალდამცავ უწყებებთან.

იუსტიციის სამინისტრო ანგარიშში აღნიშნავს, რომ 2019 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სამართალწარმოების პროცესში ჩართული მოქალაქეების მხარდაჭერის, დაზარალებულთა უფლებების დაცვისა და გამოძიების ხარისხის გაზრდის მიზნით, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური ამოქმედდა. კოორდინატორის ფუნქციას წარმოადგენს: სამართალწარმოების პროცესში მოწმის/დაზარალებულის ფსიქო-ემოციური მხარდაჭერა, ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენცია, გამოძიების მსვლელობისას მათი ინფორმირებულობის

<sup>65</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, გვ. 20.

<sup>66</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 151.

<sup>67</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, გვ. 20.

უზრუნველყოფა, სახელმწიფოში არსებული სერვისების გაცნობა, მოქალაქეებსა და სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის ეფექტიანი ურთიერთობის ხელშეწყობა.<sup>68</sup>

სამწუხაროდ, სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული მონიტორინგიდან და შესწავლილი საქმეებიდან იკვეთება, რომ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართულობა ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებში არაეფექტიანი და ფორმალურია.<sup>69</sup> აღნიშნულის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დასაქმებული მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მცირე რაოდენობაა. კერძოდ, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დასაქმებულია მოწმის და დაზარალებულის 18 კოორდინატორი, რომლებიც 2021 წელს ქალის მიმართ ძალადობის 119 და ოჯახში ძალადობის 1706 საქმეში იყვნენ ჩართულები, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებულია მოწმის და დაზარალებულის 14 კოორდინატორი, რომლებიც ოჯახური დანაშაულების 1682 სისხლის სამართლის საქმეში და ქალის მიმართ ძალადობის 108 საქმეში ჩაერთნენ.<sup>70</sup>

კვლავ არ დამტკიცებულა ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დოკუმენტი.<sup>71</sup> შესაბამისად, ძირითად შემთხვევებში, ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სოციალური მუშაკების ჩართულობის მაჩვენებელი კრიტიკულად დაბალია და მათ ჩართულობას ფორმალური ხასიათი აქვს.<sup>72</sup>

პრობლემები იკვეთება ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მართლმსაჯულების განხორციელების კუთხითაც. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2021 წელს ჩატარებული მონიტორინგის<sup>73</sup> შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსამართლეები ძალადობის მსხვერპლ ქალებს არ აწვდიან ან/და არასრულად აწვდიან ინფორმაციას მათი უფლება-მოვალეობების და მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სასამართლოში დაკითხვისას დაზარალებული ქალების მეორეული ვიქტიმიზაციის რისკი მაღალია და მათი ადეკვატური დაცვა უზრუნველყოფილი არ არის.

<sup>68</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, გვ. 17.

<sup>69</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 152; საქართველოს სახალხო დამცველისა და „უფლებები საქართველოს“ სპეციალური ანგარიში „ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების სასამართლოში დაკითხვის მონიტორინგი“, 2021, გვ. 30, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3O6nYa6> > [ბოლოს ნანახია 18.04.2022].

<sup>70</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 152, 387-ე სქოლიო.

<sup>71</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 150.

<sup>72</sup> იქვე.

<sup>73</sup> საქართველოს სახალხო დამცველისა და „უფლებები საქართველოს“ სპეციალური ანგარიში „ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების სასამართლოში დაკითხვის მონიტორინგი“, 2021 წელი, გვ. 10.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მიუხედავად იმისა, რომ გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი გაზრდილია და წინა წლებთან შედარებით, აღნიშნულ საქმეებზე სამართალდამცველთა რეაგირება გაუმჯობესებულია, ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის შემთხვევების კლების ტენდენცია არ შეინიშნება. ამავდროულად, წინა წლებთან შედარებით, გაზრდილია ქალთა თვითმკვლელობამდე და თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანისა და ქალის მკვლელობის მცდელობის ფაქტები.<sup>74</sup>

სახალხო დამცველის შეფასებით, მისასაღმებელია, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად, იქმნება სასამართლო პრაქტიკა და სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენებში ვითარდება მსჯელობა გენდერის ნიშნით ჩადენილ მკვლელობასთან ან მკვლელობის მცდელობასთან დაკავშირებით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლავ დაბალია ისეთი საქმეების რაოდენობა, სადაც დანაშაულის ჩადენა გენდერის ნიშნით გამოიკვეთა და შესაბამისად - სასჯელი დამძიმდა.<sup>75</sup> გარდა ამისა, კვლავ პრობლემურია სამართალდამცავი უწყებების მიერ დანაშაულის „გენდერის ნიშნით“ ჩადენის კვალიფიკაცია. ასევე პრობლემურია ფემიციდის მცდელობის შემთხვევაზე საქართველოს პროკურატურის მიერ გენდერული მოტივის დადგენა, ქმედების ოჯახის წევრის მიმართ და გენდერის ნიშნით ჩადენის გამოვლენა და სპეციალური ნორმით კვალიფიკაცია.<sup>76</sup>

ასევე, დადებითი ტენდენციაა, რომ ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის შემთხვევებზე გამოძიება, ასევე სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად, თითქმის ყველა საქმეზე შეისწავლის ძალადობის წინაისტორიას. მონიტორინგის შედეგად კვლავ გამოიკვეთა შემთხვევები, სადაც ფემიციდის ან/და ფემიციდის მცდელობის ფაქტებამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ფიქსირდებოდა შეტყობინებები მსხვერპლი ქალების მიმართ ჩადენილი, ქალის მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით. თუმცა, ამის მიუხედავად რისკების სწორი შეფასება და ფემიციდის ან/და ფემიციდის მცდელობის თავიდან არიდება ვერ მოხერხდა. განსაკუთრებით საგანგაშოა ფემიციდის ან/და ფემიციდის მცდელობის ჩადენა პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებისა და ოჯახური დანაშაულის ჩადენისთვის მოხდილი სასჯელის შემდგომ პერიოდში.

მონიტორინგი ცხადყოფს, რომ ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის თავიდან არიდება, ისეთ შემთხვევებში, სადაც სახელმწიფო ინფორმირებული იყო ოჯახში შესაძლო ძალადობის ფაქტების შესახებ, ხშირ შემთხვევებში მოძალადისთვის ქალის მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ზედმეტად ხანმოკლე და ლმობიერი სასჯელის გამოყენების გამო ვერ ხერხდება.

<sup>74</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 154.

<sup>75</sup> იქვე.

<sup>76</sup> იქვე.

სასამართლო, ოჯახში ძალადობის საქმეებზე პირობითი მსჯავრის ან მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის სასჯელის გამოყენებისას, არ აფასებს, მსჯავრდებულის გათავისუფლების შემთხვევაში, რამდენად არსებობს ოჯახის წევრის მიმართ დანაშაულებრივი ქმედებების გაგრძელების რისკი. უფრო მეტიც, პირობით მსჯავრს იყენებს ისეთი მოძალადეების მიმართ, რომლებმაც წარსულში არაერთხელ დაარღვიეს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების პირობები და იძალადეს ოჯახის წევრებზე. ამასთანავე, სასამართლო პირობითი მსჯავრის გამოყენებამდე არ შეისწავლის იმ გარემოებას, აღმოიფხვრა თუ არა ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები. შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ სასამართლოს მიერ ოჯახში სისტემატური მოძალადისთვის პირობითი მსჯავრის დასანიშნად საკმარისია მხოლოდ იმ გარემოების დადგენა, რომ სახეზეა ნაკლებად მძიმე დანაშაული და ბრალდებულმა ითანამშრომლა გამოძიებასთან.

სახალხო დამცველის მიერ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად იკვეთება, რომ სამწუხაროდ, დაბალია ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბენეფიციართა ინფორმირებულობა, მათ შორის ბენეფიციარებისთვის არსებული სერვისების შესახებ.<sup>77</sup> ასევე გამოვლინდა ძალადობის მსხვერპლი ქალების მიერ თავშესაფრით რამდენჯერმე სარგებლობის შემთხვევები, თავშესაფრით რამდენჯერმე სარგებლობის პრაქტიკა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მართლმსაჯულების არაეფექტიანი განხორციელება კი პრევენციული ღონისძიებების სიმცირითა და ოჯახში და ქალის მიმართ ძალადობისგან თავის დასაღწევად საჭირო სოციალური და ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების არარსებობითაა გამოწვეული.

მსხვერპლის მხარდაჭერის მხრივ, ასევე მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის დროული, ადეკვატური და ეფექტიანი კომპენსაციის გაცემის წესის მიღება, რაც პარლამენტმა, სამწუხაროდ, 1 წლის ვადით გადადო.<sup>78</sup>

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, აუცილებელია მსხვერპლთა მხარდამჭერი სერვისების გაუმჯობესება მათი მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად, ინფორმირებულობისა და სამართალწარმოებაში სათანადო მონაწილეობისათვის.

ძალადობის გამეორების რისკის შესამცირებლად, სხვა პრევენციულ ღონისძიებებთან ერთად, უკიდურესად მნიშვნელოვანია მოძალადეების ქცევის კორექცია. სამწუხაროდ, ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსის გავლის მაჩვენებელი კრიტიკულად დაბალია, რაც კურსის ნებაყოფლობითი

<sup>77</sup> მონიტორინგი ჩატარდა 2021 წელს, საქართველოში არსებულ ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში.

<sup>78</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 150.



ხასიათით აიხსნება, ხოლო კვლავ არ შემუშავებულა ქვევის კორექციის პროგრამა იმ მოძალადეებისთვის, ვის მიმართაც დამცავი ორდერია გამოცემული.<sup>79</sup>

ამასთანავე, (განმეორებითი) ძალადობის პრევენციას მჭიდროდ უკავშირდება როგორც საზოგადოების, ისე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობა. მისასაღმებელია სამართალდამცავი პირების მიერ ქალის მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის შესახებ ტრენინგების გავლა.<sup>80</sup> თუმცა, კვლავ დაბალია სამართალდამცავთა ცნობიერება შშმ ქალებისა და გოგოების მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევებზე. კერძოდ, პრაქტიკაში შეინიშნება შშმ ქალებისა და გოგოების მიმართ ჩადენილი შესაძლო ძალადობის მიმართ სამართალდამცავთა სტერეოტიპული დამოკიდებულება,<sup>81</sup> რომელიც სამართალდამცავთა ცოდნის ნაკლებობით აიხსნება.<sup>82</sup> შესაბამისად, აუცილებელია ამ მიმართულებით სამართალდამცავთა ცნობიერების ამაღლება.

გარდა ამისა, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს ზოგადად საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, რათა შემცირდეს და საბოლოოდ აღმოიფხვრას საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები, ქალების (როლის) შესახებ არასწორი და ნეგატიური დამოკიდებულება, რომელიც ასაზრდოებს ქალთა მიმართ ძალადობას. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ საჯარო პირებმა, განსაკუთრებით კი ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავი შეიკავონ სექსისტური შინაარსის განცხადებების/ქმედებებისგან, რომლებსაც სტერეოტიპებისა და ქალთა მიმართ ძალადობის წახალისება შეუძლიათ. სამწუხაროდ, ასეთ განცხადებებსა თუ ქმედებებს 2021 წელსაც ჰქონდა ადგილი.<sup>83</sup>

ზემოაღნიშნული ფაქტების გარდა, ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ეფექტიან რეაგირებას საერთაშორისო სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შეუსაბამობა უშლის ხელს. უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კანონმდებლობა კვლავ არ აკმაყოფილებს სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და არ ითვალისწინებს მსხვერპლის თავისუფალი და ნებაყოფლობითი თანხმობის

---

<sup>79</sup> იქვე, გვ. 151-152.

<sup>80</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, გვ. 14-19.

<sup>81</sup> მაგ., საგამოძიებო უწყების თანამშრომლები, უმეტესად ეჭვქვეშ აყენებენ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე და/ან ინტელექტუალური ნიშნით შშმ ქალის მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენების სანდობას. შშმ ქალებისათვის, ასეთი სტერეოტიპული დამოკიდებულება, ხშირად ხდება იმის საფუძველი, რომ უარი თქვან საკუთარი უფლებების დაცვაზე. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგოების საჭიროებებისა და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასება საქართველოში“.

<sup>82</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 153.

<sup>83</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, გვ. 56-57.

არარსებობას, როგორც სექსუალური ძალადობის დანაშაულების დეფინიციის შემადგენელ ნაწილს.<sup>84</sup>

გარდა ამისა, სტამბოლის კონვენციის სტანდარტების საწინააღმდეგოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სრულწლოვანი დაზარალებულის დაკითხვისას, მისი მეორეული ვიქტიმიზაციისგან დასაცავად, ბრალდებულის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის ან/და დაზარალებულის დისტანციურად დაკითხვის შესაძლებლობას, სრულწლოვანი დაზარალებულის უფასო სამართლებრივი დაცვის უფლებით და შესაძლებლობით აღჭურვას, პროცესში ფსიქოლოგის ჩართვასა და დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვის სპეციალურ გარანტიებს სასამართლო სხდომის დარბაზში, მათ შორის, პირდაპირი თუ ჯვარედინი დაკითხვის დროს.<sup>85</sup>

გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ სისხლის სამართლის კოდექსი არ ადგენს „ღირსების დაცვის“ ნიადაგზე ჩადენილი ძალადობის დეფინიციას, რისკენაც სახელმწიფოს ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კომიტეტი მოუწოდებს.<sup>86</sup> გარდა ამისა, პრობლემურია ეკონომიკური ძალადობის, როგორც ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი ფორმის, გამოვლენა და ეფექტიანი რეაგირება, რასაც გარკვეულწილად ეკონომიკური ძალადობის არასათანადო საკანონმდებლო რეგულირება იწვევს.<sup>87</sup> მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ხსენებული საკანონმდებლო ხარვეზები გამოასწოროს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და გაეროს შესაბამისი კომიტეტის რეკომენდაციის შესასრულებლად.

### არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებული საქმეები

„ცინცაბაძის ჯგუფში“ შემავალი საქმეები ეხება სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 მუხლების (წამების აკრძალვა), როგორც არსებითი ისე პროცედურული ასპექტების დარღვევას.

ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ბოლო შუალედური გადაწყვეტილება 2022 წლის 8-9 მარტს, 1428-ე სხდომაზე მიიღო.<sup>88</sup> ვინაიდან ალტერნატიული ანგარიშის მიზნებისთვის საანგარიშო პერიოდი 2021 წელს

<sup>84</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 151.

<sup>85</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 151; საქართველოს სახალხო დამცველის და „უფლებები საქართველოს“ სპეციალური ანგარიში „ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების სასამართლოში დაკითხვის მონიტორინგი“, 2021, გვ. 20-21, 28 და 34.

<sup>86</sup> ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტის მოსაზრებები N 140/2019 საჩივრის შესახებ, § 9, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3xncKrl> > [ბოლოს ნანახია 18.04.2022].

<sup>87</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 152.

<sup>88</sup> ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3r9mLVA> > [ბოლოს ნანახია 19.04.2022].

მოიცავს, აღნიშნული გადაწყვეტილებიდან მხოლოდ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან დაკავშირებულ ნაწილს შევხებით, რადგან საქართველოს პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილებები სამსახურის შესახებ 2021 წლის ბოლოს მიიღო. გადაწყვეტილებაში მინისტრთა კომიტეტი გამოთქვამს ღრმა შეშფოთებას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დაშლასთან და მისი ორი ინსტიტუტით ჩანაცვლებასთან დაკავშირებით. მინისტრთა კომიტეტმა მოუწოდა ხელისუფლებას სერიოზულად განიხილოს აღნიშნულის გავლენა გამოძიების ეფექტიანობასა და დამოუკიდებლობაზე და ამ კუთხით მნიშვნელოვანი გარანტიები უზრუნველყოს. მინისტრთა კომიტეტმა ხელისუფლებას დაავალა მიაწოდოს ინფორმაცია არასათანადო მოპყრობის გამოძიების ეფექტიანობისა და დამოუკიდებლობის გაძლიერების მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და სხვა ზომების შესახებ.

არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობის დონეზეც და პრაქტიკაშიც თავისუფლებააღკვეთილი/შეზღუდული პირები უზრუნველყოფილნი იყვნენ სამართლებრივი დაცვის მინიმალური გარანტიებით. ამ გარანტიების ნორმატიულ დონეზე არსებობა და მათი ეფექტიანი აღსრულება ამცირებს არასათანადო მოპყრობის რისკებს, რადგან შესაძლებელი ხდება უკანონო ქმედების გამოვლენა და მასზე რეაგირება.

მინისტრთა კომიტეტმა 2020 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, ცინცაბადის ჯგუფის საქმეების აღსრულების მიზნით, ხელისუფლებას მოუწოდა შეიმუშავოს წამების პრევენციისთვის დამატებითი გარანტიები, მათ შორის, სახელმწიფოს მიუთითა, რომ ამ მიზნით განიხილოს და შეისწავლოს დაკავებული ან დაპატიმრებული პირების სამართალდამცავ ორგანოებთან კომუნიკაციისას, დაკითხვისა და გამოკითხვის ჩათვლით, აუდიო/ვიდეო ჩანაწერების წარმოების შესაძლებლობა.<sup>89</sup>

## **ძალადობის შემთხვევების გამოვლენა, დოკუმენტირება და გამოძიებისთვის შეტყობინება**

არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, რომ ხარვეზების გარეშე მიმდინარეობდეს როგორც ამგვარი მოპყრობის გამოვლენის, ისე დოკუმენტირების პროცესი. სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში, ეს საკითხი პრობლემური იყო როგორც პენიტენციური, ისე შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემებში.

---

<sup>89</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2020 წლის 1-3 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარა.13, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3a5Q0jT> > , [ბოლოს ნანახია 21.04.2022].

## პენიტენციური დაწესებულებები

2020 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების მიუხედავად,<sup>90</sup> პრობლემად რჩება სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენა და დოკუმენტირება, იმ შემთხვევაში, როდესაც პატიმარი უარს აცხადებს სამედიცინო შემოწმებაზე. კერძოდ, არსებული რეგულაციის პირობებში, თუ ექიმი ვერ მოიპოვებს პატიმრის ინფორმირებულ თანხმობას, მას არ აქვს უფლება შეავსოს დაზიანების აღრიცხვის სპეციალური ფორმა. ამგვარი რეგულაციის პირობებში, შესაძლოა, გამოვლენის, დოკუმენტირებისა და შეტყობინების მიღმა დარჩეს ისეთი შემთხვევები, როდესაც დაწესებულებაში პატიმრების მიღებისას ან დაწესებულებიდან მისი გაყვანისა და დაბრუნების დროს, ის თანხმობას არ აცხადებს სამედიცინო შემოწმებაზე, თუმცა, შესაძლოა, მის მიმართ ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას.<sup>91</sup>

პენიტენციურ დაწესებულებებში ძალადობის შემთხვევების დოკუმენტირების მექანიზმის ეფექტიანობას ხელს უშლის არაკონფიდენციალურ გარემოში პატიმრის და ექიმის შეხვედრის დამკვიდრებული პრაქტიკა. სათანადო კვალიფიკაციის და ინფორმაციის არქონის პირობებში, ექიმები ვერ ახერხებენ დაზიანებების დოკუმენტირების მნიშვნელობის და მიზნის ახსნას და პატიმრის ნდობის მოპოვებას.<sup>92</sup>

პენიტენციური სისტემის კონტექსტში უპირველეს პრობლემად რჩება კრიმინალური სუბკულტურა, რაც, თავის მხრივ, დაწესებულებებში ძალადობრივ გარემოს ქმნის და პატიმართა გაჩუმებას, პრობლემებზე საუბრის აკრძალვასა და დაწესებულებაში მოჩვენებითი წესრიგის შენარჩუნებას ისახავს მიზნად.<sup>93</sup>

პენიტენციური სისტემის ფარგლებში არასათანადო მოპყრობის შემთხვევების თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევებია პატიმართა ხანგრძლივი იზოლირება და მათი დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო საკნებში მოთავსება. 2021 წელს, სამწუხაროდ, შენარჩუნდა დეესკალაციის ოთახებში ხანგრძლივი, არამიზნობრივი და დასჯის მიზნით პატიმართა მოთავსების პრაქტიკა.<sup>94</sup> დეესკალაციის ოთახში პატიმრის გადაყვანის მაქსიმალური ვადა კვლავ 72 საათია მიუხედავად იმისა, რომ, როგორც წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის, ისე სახალხო დამცველის

---

<sup>90</sup> 2020 წელს განხორციელებული ცვლილება ექიმს შესაძლებლობას აძლევს, სამედიცინო შემოწმებაზე ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, შეტყობინება გაუგზავნოს სახელმწიფო ინსპექტორს ისეთ შემთხვევებზეც კი, როდესაც პატიმარი არ საუბრობს ძალადობაზე და ექიმს ეჭვი მაინც წარმოეშობა.

<sup>91</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ. 49, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3ra4dEV> > [ბოლოს ნანახია 19.04.2022].

<sup>92</sup> იქვე, 50.

<sup>93</sup> იქვე, 36.

<sup>94</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 41-42; სპეციალური პრევენციული მექანიზმის 2021 წლის ანგარიში.

რეკომენდაციებით, ვადა არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს.<sup>95</sup> ამასთანავე, არ არის შეზღუდული დეესკალაციის ოთახში უსაფრთხოების საფუძვლით პატიმრის განმეორებით მოთავსების რაოდენობა.<sup>96</sup> შესაბამისად, პატიმრები დეესკალაციის ოთახებში უმეტეს შემთხვევაში, მაქსიმალური ვადით გადაჰყავთ, სადაც, ფაქტობრივად, უწყვეტ რეჟიმში, რამდენიმე დღისა და კვირის განმავლობაში არიან მოთავსებული ერთეული წუთების ინტერვალებით.<sup>97</sup> ასეთი პრაქტიკა, სახალხო დამცველის შეფასებით, წარმოადგენს სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას.<sup>98</sup> ამასთანავე, წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა დეესკალაციის ოთახების 72 საათიანი ვადით ხშირი გამოყენების პრაქტიკა შეაფასა, როგორც დე ფაქტო დასჯა.<sup>99</sup> გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული რისკის პენიტენციური დაწესებულებების დებულებები დაწესებულებების დირექტორებს კვლავ აძლევს შესაძლებლობას, პატიმარი დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, ხანგრძლივი დროით მოათავსონ ერთადგილიან საკანში და შეუზღუდონ მას სხვა პატიმართან კონტაქტის შესაძლებლობა.

### შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემა

ადვოკატის დროული ხელმისაწვდომობა და ამ მიზნით ოჯახის წევრებთან და ადვოკატთან დაკავშირება პოლიციის მხრიდან დაკავებული პირის მიმართ არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. მისასალმებელია, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ სტატისტიკური პროგრამის გამოყენებით დამუშავებული მონაცემების მიხედვით, კანონმდებლობით დადგენილ სამსაათიან ვადაში ოჯახთან დაკავშირების მაჩვენებელი, 2020 წელთან, შედარებით, 2021 წელს გაუმჯობესდა.<sup>100</sup> თუმცა, 2021 წელს, პირველი 24 საათის განმავლობაში ადვოკატის საქმეში ჩართვის მაჩვენებელი საგრძნობლად გაუარესდა.<sup>101</sup> დაკავებული პირის მიერ ადვოკატის მოთხოვნის ან დაკავშირების დრო კვლავ არ აღირიცხება. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია შინაგან საქმეთა

<sup>95</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 42; წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2018 წლის 10-21 სექტემბრის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), § 94, ხელმისაწვდომია: < <https://rm.coe.int/1680945eca> > ბოლოს ნანახია [17.04.2022]; სპეციალური პრევენციული მექანიზმის 2021 წლის ანგარიში.

<sup>96</sup> სპეციალური პრევენციული მექანიზმის 2021 წლის ანგარიში; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 42.

<sup>97</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 42.

<sup>98</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 42.

<sup>99</sup> სპეციალური პრევენციული მექანიზმის 2021 წლის ანგარიში; წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), § 101, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი, ხელმისაწვდომია: < <https://rm.coe.int/1680945eca> > ბოლოს ნანახია: [17.04.2022].

<sup>100</sup> იქვე, 57.

<sup>101</sup> იქვე, 56.



სამინისტრომ შეიმუშაოს კონკრეტული მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი გახდება იმისი შემოწმება, თუ პრაქტიკაში რამდენად ხორციელდება ოჯახის წევრებთან, ახლობლებთან ან ადვოკატთან დაკავშირების და დაკავების შესახებ ინფორმაციის შეტყობინების უფლება.

2021 წელს კვლავ პრობლემური იყო პოლიციის მიერ საკუთარი უფლებების შესახებ დაკავებულის ინფორმირება. პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების მიერ ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ დაკავებულ პირებს, უმეტეს შემთხვევებში, არც დაკავებისას და არც გამოკითხვის წინ, ან საერთოდ არ უმარტავენ უფლებებს, ან მხოლოდ ნაწილობრივ აწვდიან ინფორმაციას.<sup>102</sup>

### **შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში აუდიო და ვიდეო ჩანაწერების უზრუნველყოფა**

სამწუხაროდ, აუდიო-ვიდეო ჩანაწერების წარმოებასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გაცემული რეკომენდაციები, რომლებიც არაერთი საერთაშორისო სტანდარტით არის გამყარებული და მათ შორის მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებაშიც<sup>103</sup> არის აღნიშნული, დღემდე შეუსრულებელი რჩება. დაკავებულ პირთა გამოკითხვის პროცესის აუდიო/ვიდეო ჩაწერა გაეროსა და ევროპის საბჭოს სახელმწივრულებო ორგანოების მიერ აღიარებული სტანდარტია, ხოლო დაკავებულისთვის არასათანადო მოპყრობისგან დაცვის გარანტიების შექმნის ვალდებულება წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარეობს. აღსანიშნავია, რომ ჩანაწერები უნდა იყოს დაცული, ინახებოდეს გონივრული დროით და ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაკავებულ პირისთვის, მისი ადვოკატისა და შიდა/საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმებისთვის, ისევე როგორც საგამოძიებო ორგანოებისთვის.<sup>104</sup> პოლიციის დაწესებულებებში კვლავ არ მიმდინარეობს დაკავებულ პირთა გამოკითხვის პროცესის აუდიო-ვიდეო ჩაწერა.<sup>105</sup> პოლიციის დაწესებულებებში ვიდეომეთვალყურეობით არ არის დაფარული ყველა ის სივრცე, სადაც დაკავებულს შესაძლოა უწევდეს ყოფნა.

სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციების თანახმად პოლიციის ავტომანქანა დაკავებულ პირისადმი არასათანადო მოპყრობის ერთ-ერთი გავრცელებული ადგილია. სამწუხაროდ, პოლიციის ავტომანქანაში განხორციელებული ძალადობის შემთხვევების შესახებ ინფორმაცია პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა, წინა წლების მსგავსად, 2021 წელსაც მიიღო. ნორმატიულ დონეზე, ამ მხრივ ცვლილებები

<sup>102</sup> იქვე, 56.

<sup>103</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2020 წლის 1-3 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარა.13, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3a5Q0jT> > , [ბოლოს ნანახია 21.04.2022].

<sup>104</sup> გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის ანგარიში პოლონეთის მთავრობას, CAT/OP/POL/ROSP/1, 09.01.2020. პარა. 47, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/2xXKrn7> > [ბოლოს ნანახია: 19.04.2022].

<sup>105</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლის შესაბამისად, საგამოძიებო მოქმედების დროს დასაშვებია ვიდეო და აუდიო ჩაწერა.



არც 2021 წელს განხორციელებულა და შესაბამისად პატრულ ინსპექტორებს/ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლებს, მოქალაქეებთან ურთიერთობისას ვიდეოგადაღების ვალდებულება არ აქვთ და მათ შორის, არც პოლიციის ავტომანქანაში დაკავებული პირის ყოფნის დროს უწყვეტი ვიდეო გადაღება ევალდება.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პოლიციის დაწესებულების ყველა შიდა და გარე პერიმეტრი, სადაც დაკავებულს ან მოქალაქეს შეიძლება უწევდეს ყოფნა, უნდა აღიჭურვოს ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც შესაძლებელია დაირღვეს დაკავებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, ან ადვოკატთან და ექიმთან შეხვედრის კონფიდენციალურობა. მათ შორის, სახალხო დამცველის შეფასებით, მნიშვნელოვანია ნორმატიული აქტით განისაზღვროს დაკავებული პირის პოლიციის ავტომანქანაში ყოფნის დროს უწყვეტი ვიდეო გადაღების ვალდებულება ავტომანქანის გარე და შიდა პერიმეტრის ვიდეოკამერით ან, მისი არარსებობის შემთხვევაში, სამხრე კამერით.

### **სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიება**

#### სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება

2021 წელს საქართველოს პარლამენტმა 4 დღის ვადაში, დაჩქარებული წესით მიიღო საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის საფუძველზეც 2022 წლის პირველი მარტიდან გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობა - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურები. 2019 წლის პირველი ნოემბრიდან საგამოძიებო ქვემდებარეობით მოქმედი დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსპექტორის ინსტიტუტის შექმნა, რომლის ძირითადი ფუნქცია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის შემთხვევების სათანადო გამოძიება იყო, მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზნებს ემსახურებოდა. სახელმწიფო ინსპექტორის საქმიანობაზე დაკვირვების შედეგად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მას არათუ დაყოფა, არამედ, პირიქით, გაძლიერება სჭირდებოდა როგორც საკანონმდებლო, ისე საბიუჯეტო მიმართულებით.

დაჩქარებული წესით კანონპროექტის განხილვამ შეუძლებელი გახადა საზოგადოების არსებითი ჩართულობა განხილვის პროცესში. მეტიც, კანონპროექტის მომზადებაში, არათუ დაინტერესებული ორგანიზაციები, არამედ სახელმწიფო ინსპექტორიც კი არ ყოფილა ჩართული. სახალხო დამცველის შეფასებით, ასეთი ცვლილებები უნდა განხორციელებულიყო ღია და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, არსებითი, ფართო დებატებით, სამოქალაქო საზოგადოებისა და თავად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ჩართულობით.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები არ/ვერ უზრუნველყოფს ორი ახლად შექმნილი სამსახურის ინსტიტუციური

დამოუკიდებლობის საკმარის გარანტიებს და სამომავლოდ ქმნის რისკებს, რომ მათი სამსახურიც გაუქმდეს, თუკი სამსახურების საქმიანობა კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფისთვის მიუღებელი იქნება.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები უარყოფითად შეაფასა ეუთო/ოდირმაც.<sup>106</sup> ეუთო/ოდირის რეკომენდაციით, აუცილებელი იყო მიღებული კანონის მოქმედების შეჩერება, ვინაიდან საფრთხე ექმნება სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის დამოუკიდებლობას, რაც, თავის მხრივ, აისახება ამ უწყებების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხზე.<sup>107</sup>

ხელისუფლებამ ეუთო/ოდირის ზემოაღნიშნული რეკომენდაცია არ გაითვალისწინა. ამ პირობებში სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია გადაიდგას საფუძვლიანი ნაბიჯები არსებული სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გასაძლიერებლად, ინსტიტუტის ეფექტიანობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.

#### სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიების ხარვეზები

2021 წელს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სახელმწიფო ინსპექტორის მიერ გამოძიებული 52 სისხლის სამართლის საქმე. სახელმწიფო ინსპექტორის მიერ წარმოებული გამოძიების საფუძველზე პირის დაზარალებულად ცნობის უფლებამოსილება პროკურორებს აქვთ. აღნიშნულ საქმეებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამოძიებები დროულად და ზედმიწევნით ატარებდნენ ყველა საჭირო და გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებას. ამ საქმეებში პროკურორის გადაწყვეტილებით სავარაუდო მსხვერპლი მხოლოდ ერთ შემთხვევაში იქნა ცნობილი დაზარალებულად.

სახალხო დამცველის აპარატმა ასევე შეისწავლა 4 სისხლის სამართლის საქმე, რომელთა ფარგლებშიც გამოვლინდა კონკრეტული სამართალდამცავების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, რის თაობაზეც ინსპექტორის სამსახურმა წერილობითაც (წინადადებით) მიმართა პროკურატურას. პროკურატურას არცერთ შემთხვევაზე არ დაუწყია სისხლისსამართლებრივი დევნა და დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება მოითხოვა, რასაც სახალხო დამცველი უკიდურესად უარყოფითად აფასებს. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საქმეებში სახელმწიფო ინსპექტორს მტკიცებულებათა ერთობლიობით გამოვლენილი ჰყავდა

<sup>106</sup> ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3q2dqOL> > [ბოლოს ნანახია 19.04.2022].

<sup>107</sup> ეუთო/ოდირის 2022 წლის 18 თებერვლის №GEN-GEO/436/2022 [NR] მოსაზრება, პარა. 55, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3pW9VcP> > [ბოლოს ნანახია 19.04.2022].

კონკრეტული სამართალდამცველები, რომელთა მიმართ ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა ქმნიდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველს.<sup>108</sup>

### შეჯამება

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ ხელისუფლების მხრიდან დროულ რეაგირებასა და გამოსწორებას საჭიროებს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამოძიების ეფექტიანობის კუთხით არსებული ხარვეზები, 109 პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურა, პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებული ქეიმების არასაკმარისი კვალიფიკაცია, პატიმრების დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (ე.წ. უსაფრთხო) საკნებში მოთავსების მანკიერი პრაქტიკა და სხვ. ასევე გამოწვევას წარმოადგენს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინსტიტუტის ეფექტიანობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში აუდიო და ვიდეო ჩანაწერების უზრუნველყოფა, სხვ.

### „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“

საქმეში „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოძიების მიმართ წინასწარი პატიმრობის გაგრძელების საჭიროება ეროვნული სასამართლოების მიერ სათანადოდ დასაბუთებული არ იყო. აღნიშნულის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა დაადგინა. ამასთან, აღნიშნულ საქმეში ასევე დადგინდა კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტთან მიმართებით. ამ ნაწილში სასამართლომ დაადგინა, რომ მოძიებისთვის გაგრძელებული წინასწარი პატიმრობა გენერალურმა პროკურორმა არალეგიტიმური მიზნებისთვის - მოძივანზე ზეწოლის მოსახდენად გამოიყენა, რათა მოძივანს მისი სისხლის სამართლისგან დამოუკიდებელ სხვა საკითხებზე გაემჟღავნებინა ინფორმაცია.

2021 წლის სექტემბერში მიღებულ გადაწყვეტილებაში მინისტრთა კომიტეტმა სახალხო დამცველის შეფასებები გაიზიარა ინდივიდუალური ღონისძიებების ნაწილში და გაიმეორა, რომ რჩება კითხვები მერაბიშვილის საკნიდან შესაძლო გაყვანის ფაქტის გამოძიების ეფექტიანობასთან დაკავშირებით.<sup>110</sup>

### პროკურატურის რეფორმის საჭიროება

2021 წლის სექტემბერში მიღებულ გადაწყვეტილებაში მინისტრთა კომიტეტმა კვლავ მოუწოდა ხელისუფლებას გაატაროს რეფორმები პროკურატურის დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით, 2018 წლის

<sup>108</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, გვ. 26, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/37udbpu> > [ბოლოს ნანახია 19.04.2022].

<sup>109</sup> დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 58, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3xw8hTQ> > [ბოლოს ნანახია 21.04.2021].

<sup>110</sup> ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3vqmplC> > [ბოლოს ნანახია 19.04.2022].

კონსტიტუციური ცვლილებების კონტექსტში.<sup>111</sup> მინისტრთა კომიტეტის ზემოაღნიშნული რეკომენდაცია კვლავ შეუსრულებელია.

პოლიტიკურად ნეიტრალური პროკურატურის სისტემის ჩამოყალიბება მთავარ გამოწვევად რჩება. სახალხო დამცველის შეფასებით, პროკურატურის მიერ წარმოებული არაერთი საქმის გამოძიების პროცესში გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომლებიც არ შეესაბამება ეფექტიანი გამოძიების კრიტერიუმებს. მაგალითად, ასეთია ე.წ. კარტოგრაფების საქმე, სადაც გამოძიების დაწყებასა და მიმდინარეობას აშკარად გააჩნია პოლიტიკური ან სხვა უკანონო მოტივი, რომელიც საქმეში არსებული ხარვეზების ფონზე, კანონიერ მოტივს გადაწონის, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევად ფასდება.

მიუხედავად იმისა, რომ თავად კონსტიტუცია განსაზღვრავს პროკურატურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გარანტიებს, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ვერ პასუხობს კონსტიტუციური რეფორმის იდეას. ცვლილებებს საჭიროებს საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტების და უფლებამოსილების, ასევე გენერალური პროკურორის არჩევის წესი. საპროკურორო საბჭოს დღეს არსებული მოწესრიგება ვერ უზრუნველყოფს კონსტიტუციით მასზე დაკისრებული მანდატის - პროკურატურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფას.

სახალხო დამცველის მოსაზრებები გენერალური პროკურატურის რეფორმის საჭიროებაზე დეტალურად მიმოხილულია როგორც გასული წლის ალტერნატიულ ანგარიშში,<sup>112</sup> ასევე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში სახალხო დამცველის მიერ წარდგენილ კომუნიკაციებში.<sup>113</sup>

#### „ამირიძე საქართველოს წინააღმდეგ“

საქმეში „ამირიძე საქართველოს წინააღმდეგ“, ევროსასამართლოს განმარტებით, სახელმწიფომ არ უზრუნველყო მომჩივანსა და მის ადვოკატს შორის კომუნიკაციის კონფიდენციალურობა.<sup>114</sup> კერძოდ, მომჩივნის ინდივიდუალური საჩივრის უფლების ეფექტურად განხორციელებას ხელი შეუშალა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომჩივანსა და ადვოკატს შორის შეხვედრის ოთახის განლაგებამ და ასევე მოთხოვნამ,

<sup>111</sup> ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3vqmpLC> > [ბოლოს ნანახია 19.04.2022].

<sup>112</sup> სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიშზე „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ“, გვ.16, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/383HR16> > [ბოლოს ნანახია 19.04.2022].

<sup>113</sup> საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2021 წელს გაგზავნილი კომუნიკაცია, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3vttivz> > [ბოლოს ნანახია 19.04.2022]; საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2020 წელს გაგზავნილი კომუნიკაცია, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/380IWHQ> > [ბოლოს ნანახია 19.04.2022].

<sup>114</sup> ამირიძე საქართველოს წინააღმდეგ, 2020 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება, საჩივარი N 15351/09, § 60, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3KNMYRy> > [ბოლოს ნანახია 17.04.2022].

რომ მომჩივანს ოთახის კარი დაეტოვებინა ღია და დამჯდარიყო ისე, რომ იგი დაწესებულების თანამშრომლის მხედველობის არეალში ყოფილიყო.<sup>115</sup> შესაბამისად, ევროსასამართლომ დაადგინდა ევროკონვენციის 34-ე მუხლის დარღვევა.<sup>116</sup>

სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიშის წინამდებარე ქვეთავში ასახული მსჯელობა ეხმიანება ზოგადი ღონისძიებების თაობაზე სახელმწიფოს მიერ პარლამენტში და ასევე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში წარდგენილ ანგარიშებს.<sup>117</sup> ამასთანავე, იუსტიციის სამინისტრო პარლამენტის წინაშე წარდგენილ ანგარიშში, მოცემული საქმის აღსრულების მიზნით გატარებული ზოგადი ღონისძიებების თაობაზე მითითებას წინა წლის ანგარიშზე აკეთებს.<sup>118</sup> სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ყველა მოსაზრება და არგუმენტაცია, რაც ჩვენს მიერ 2021 წლის ალტერნატიულ ანგარიშშია წარმოდგენილი, კვლავ ძალაშია.<sup>119</sup>

იუსტიციის სამინისტროს ანგარიშების თანახმად, „განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილია დამცველთან/ადვოკატთან ყოველგვარი შეხლუდვისა და ჩარევის გარეშე შეხვედრის უფლებით“.<sup>120</sup> უნდა აღინიშნოს რომ ვიდეო თვალთვალი ხორციელდება პენიტენციური დაწესებულებების ყველა იმ ოთახში, სადაც პატიმრები ხვდებიან მათი ინტერესების დამცველ ადვოკატებს, ასევე სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს. ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ N8 პენიტენციური დაწესებულების ერთი-ერთი შეხვედრების ოთახი. ვინაიდან პატიმრები ზოგიერთ შემთხვევაში თავს იკავებენ სხეულზე არსებული დაზიანებების ჩვენებისგან იმ ფაქტის გამო, რომ მათ ციხის ადმინისტრაცია სათვალთვალო ვიდეო კამერებით აკვირდება, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურა

<sup>115</sup> ამირიძე საქართველოს წინააღმდეგ, 2020 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება, საჩივარი N 15351/09, § 58.

<sup>116</sup> ამირიძე საქართველოს წინააღმდეგ, 2020 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება, საჩივარი N 15351/09, § 60.

<sup>117</sup> საქართველოს სახელმწიფოს სამოქმედო ანგარიში (04.01.2021) საქმეზე „ამირიძე საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი N. 15351/09), ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3vmLCXi> > ბოლოს ნანახია [17.04.2021]; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3ryy3Df> > [ბოლოს ნანახია 18.04.2022].

<sup>118</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 68.

<sup>119</sup> სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიშზე „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ“, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3jOrg3P> > [ბოლოს ნანახია 18.04.2022].

<sup>120</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 98; სამოქმედო ანგარიში (04.01.2021) – საქართველოს სახელმწიფოს კომუნიკაცია საქმეზე „ამირიძე საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი N. 15351/09), §6.

უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, სახალხო დამცველის წარმომადგენლები, მათი მოთხოვნის შემთხვევაში, პატიმარს შეხვდნენ ისეთ ოთახში, რომელიც სათვალთვალო კამერებით აღჭურვილი არ იქნება.

ადვოკატთან კომუნიკაცია პატიმრებს ასევე უზღუდებთ დეესკალაციის ოთახში მოთავსებით. დეესკალაციის ოთახში მყოფ პატიმრებს უზღუდებთ გარე სამყაროსთან კონტაქტი<sup>121</sup> სატელეფონო ზარით სარგებლობის ჩათვლით<sup>122</sup> და შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში არ აქვთ შესაძლებლობა დაუკავშირდნენ, მათ შორის, ადვოკატს.

ადვოკატთან კომუნიკაციის შეზღუდვის უფლება ასევე დაფიქსირდა ადმინისტრაციული სახდელის სახით. კერძოდ, ბრალდებულებს დააკისრეს სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა, როგორც დისციპლინური სახდელი, ხოლო „პენიტენციური დაწესებულების პოზიციით, სახდელი და სატელეფონო საუბრის შეზღუდვა ასევე ვრცელდებოდა პატიმრის ადვოკატთან სატელეფონო კომუნიკაციაზე. მსგავსი განმარტება ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, რომელიც კრძალავს ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვების დაწესებას, რომლებიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას“.<sup>123</sup>

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრები აწყდებიან არაერთ დაბრკოლებას სახალხო დამცველთან და ინსპექტირების ორგანოებთან დაკავშირების კუთხით. სატელეფონო საუბრის უფლების თვალსაზრისით, 2021 წელს გამოვლინდა შემთხვევები, „როდესაც პატიმარს სატელეფონო ბარათზე უბლოკავენ ინსპექტირების ორგანოების და სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომრებს და პატიმრები ვერ ახერხებენ დაკავშირებას“.<sup>124</sup> N3 პენიტენციურ დაწესებულებაში, მაგალითად, მსჯავრდებულმა განაცხადა, რომ ვერ რეკავდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ცხელ ხაზზე, ასევე სახალხო დამცველის რწმუნებულის პირად და სამსახურებრივ ნომრებზე.<sup>125</sup> ამასთანავე, „N3 დაწესებულებაში სახალხო დამცველის წარმომადგენლებმაც გადაამოწმეს, რომ კონკრეტული პატიმრის ბარათიდან ცხელ ხაზზე არ ირეკებოდა“.<sup>126</sup>

<sup>121</sup> სპეციალური პრევენციული მექანიზმის 2021 წლის ანგარიში.

<sup>122</sup> იქვე, გვ. 46.

<sup>123</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 110; საქართველოს სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, 2022, გვ. 102.

<sup>124</sup> პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2021 წლის ანგარიში, გვ. 75;

<sup>125</sup> საქართველოს სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, 2022, გვ. 107.

<sup>126</sup> პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2021 წლის ანგარიში, გვ. 75.



იუსტიციის სამინისტრო პარლამენტისადმი წარდგენილ ანგარიშში მიუთითებს, რომ „საჩივრის ადრესატის განსაზღვრის ან სხვა ტექნიკური საკითხის მოგვარების მიზნით ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს სოციალური მუშაკის კონსულტაცია. სოციალური მუშაკი ვალდებულია დაიცვას მიმოწერის კონფიდენციალურობა. მოთხოვნის შემთხვევაში, ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილია საჩივრის შესატანად საჭირო საშუალებათა აუცილებელი რაოდენობით, მათ შორის, ქალაქით, კონვერტებით კონფიდენციალური საჩივრებისათვის, საწერი საშუალებებით და სხვა“.<sup>127</sup>

საგანგაშოა, რომ სახალხო დამცველთან კომუნიკაციას აბრკოლებს სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან ზეწოლა და რეპრესია. რეპრესიების იარაღად ძირითადად გამოიყენება კონტაქტის შეზღუდვა ან მოულოდნელად საკანში შესვლა და ჩხრეკის ჩატარება, რაც სავარაუდოდ თანამშრომლების მხრიდან ძალის დემონსტრირებას და პატიმრის დაშინებას ემსახურება.<sup>128</sup> პატიმრები აცხადებენ, რომ სახალხო დამცველთან გაგზავნილი განცხადებებისა და სატელეფონო ზარების გამო ხშირად ექვემდებარებიან მუქარას და დაშინებას.<sup>129</sup>

სამწუხაროდ, 2021 წელს, წინა წლების მსგავსად, კვლავ გამოვლინდა, პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრებისთვის გასაჩივრების უფლების რეალიზებაში ხელშეშლა, რაც გამოწვეულია როგორც კრიმინალური სუბკულტურით, ისე პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციის ქმედებით.<sup>130</sup> გასაჩივრების მექანიზმის გამოყენებას აბრკოლებს სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შესახებ პატიმრების არაინფორმირებულობაც.<sup>131</sup>

სახალხო დამცველის აპარატში ყველაზე მეტი მომართვა კვლავ დახურული დაწესებულებებიდან შემოვიდა, ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებიდან შემოსული განცხადებების რიცხვი ისევ მცირეა. კრიმინალური სუბკულტურის გავლენის გამო, ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში, მსჯავრდებულები თავს იკავებენ საჩივრების გაგზავნისაგან.<sup>132</sup> სუბკულტურის მიზანი პატიმრების გაჩუმება და მათთვის პრობლემებზე საუბრის აკრძალვაა.<sup>133</sup> სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან

<sup>127</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 98;

<sup>128</sup> იქვე.

<sup>129</sup> იქვე.

<sup>130</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 54.

<sup>131</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 53.

<sup>132</sup> სპეციალური პრევენციული მექანიზმის 2021 წლის ანგარიში; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 54.

<sup>133</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 36.

გასაუბრებისას პატიმრები აღნიშნავენ, რომ საჩივარი მიუღებელია და პრობლემები ადგილზე უნდა მოგვარდეს. იმ შემთხვევაში თუ ე.წ. მაყურებელმა გაიგო, რომ საჩივრის დაწერას აპირებს ვინმე, ის უხსნის საჩივრის დაწერის მსურველ პატიმარს, რომ საჩივარი მიუღებელია.<sup>134</sup>

კრიმინალური სუბკულტურის გარდა, წერილობითი საჩივრების გაგზავნას ართულებს ის ფაქტიც, რომ საჩივრის ყუთები კვლავ მოთავსებულია ვიდეო კამერების სათვალთვალო არეალში და იძლევა საჩივრის ავტორის იდენტიფიცირების შესაძლებლობას.<sup>135</sup> ამასთანავე, კონფიდენციალური საჩივრების კონვერტების მიღება დამოკიდებულია დაწესებულების თანამშრომელზე. თანამშრომლისგან კონფიდენციალური კონვერტის მოთხოვნა კი თავის თავში გულისხმობს იმას, რომ პატიმარი საჩივრის დაწერას აპირებს. მიუხედავად იმისა, რომ საჩივრის შინაარსი დაწესებულებისთვის უცნობი დარჩება, თავად საჩივრის დაწერის ფაქტმაც კი შეიძლება პრობლემა შეუქმნას პატიმარს და აქედან გამომდინარე თავი შეიკავოს კონფიდენციალური საჩივრის კონვერტის მოთხოვნისა და გაგზავნისაგან.<sup>136</sup> გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტროს მტკიცების საწინააღმდეგოდ, დახურული და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში „პატიმრების ნაწილს არ აქვს საჩივრის დასაწერად საჭირო საშუალებები“.<sup>137</sup>

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა მსჯავრდებულთათვის კორექსონდენციის გაგზავნის უფლებისა და მიმოწერის კონფიდენციალობის დარღვევებიც.<sup>138</sup> რამდენიმე შემთხვევაში, აპარატის მიმართვის საფუძველზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მხრიდანაც დადასტურდა დარღვევა. სახალხო დამცველის აპარატმა პირადი მიმოწერის უფლების დარღვევა დაადგინა ერთ-ერთ საქმეზე, სადაც №6 დაწესებულების სოციალურმა მუშაკმა მსჯავრდებულის მიერ გადაცემული ორი განცხადება არ დაარეგისტრირა, რომლებიც, შესაბამისად, ვერ გაიგზავნა ადრესატებთან. აპარატმა №8 დაწესებულებაშიც დაადგინა მსჯავრდებულის მიმოწერის უფლების დარღვევა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ორივე შემთხვევა შესაბამისი პირების დისციპლინური პასუხისმგებლობით დასრულდა.

<sup>134</sup> სპეციალური პრევენციული მექანიზმის 2021 წლის ანგარიში.

<sup>135</sup> სპეციალური პრევენციული მექანიზმის 2021 წლის ანგარიში.

<sup>136</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 54.

<sup>137</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 54.

<sup>138</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 129; საქართველოს სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, 2022, გვ. 108.

## „ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“

საქმეში „ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ დადგინდა ევროკონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.<sup>139</sup> ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით, ბავშვის კანონიერი წარმომადგენლობის მომწესრიგებელი ეროვნული კანონმდებლობა იყო ხარვეზიანი.<sup>140</sup> კერძოდ, ეროვნული სასამართლოების წინაშე საქმის განხილვაში სოციალური მომსახურების სააგენტო ჩართული იყო „დაინტერესებული მხარის“ სტატუსით, რომელსაც საერთოდ არ ითვალისწინებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.<sup>141</sup> ფორმალური სტატუსის არარსებობის პირობებში გაუგებარი იყო, რამდენად ეფექტურად წარმოადგენდა სოციალური მომსახურების სააგენტო ბავშვის ინტერესებს.<sup>142</sup> გარდა ამისა, ევროსასამართლომ თავად ბავშვების მონაწილეობა სამართალწარმოებაში არასათანადოდ უზრუნველყოფილად მიიჩნია და განმარტა, რომ სასამართლოებმა ადეკვატურად ვერ შეაფასეს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.<sup>143</sup>

სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიშის წინამდებარე ქვეთავში ასახული მსჯელობა ეხმიანება ზოგადი ღონისძიებების თაობაზე სახელმწიფოს მიერ პარლამენტში და ასევე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში წარდგენილ ანგარიშებს.<sup>144</sup> ამასთანავე, იუსტიციის სამინისტრო პარლამენტის წინაშე წარდგენილ ანგარიშში, მოცემული საქმის აღსრულების მიზნით გატარებული ზოგადი ღონისძიებების თაობაზე მითითებას წინა წლის ანგარიშზე აკეთებს.<sup>145</sup> შესაბამისად, სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ყველა მოსაზრება და არგუმენტაცია, რაც ჩვენს მიერ 2021 წლის ალტერნატიულ ანგარიშშია წარმოდგენილი, კვლავ ძალაშია.<sup>146</sup>

<sup>139</sup> ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 2016 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება, საჩივარი N 71776/12, § 84, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3jEctIX> > [ბოლოს ნანახია 15.04.2022].

<sup>140</sup> ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 2016 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება, საჩივარი N 71776/12, § 75.

<sup>141</sup> ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 2016 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება, საჩივარი N 71776/12, § 74.

<sup>142</sup> ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 2016 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება, საჩივარი N 71776/12, § 74.

<sup>143</sup> ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 2016 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება, საჩივარი N 71776/12, § 79-83.

<sup>144</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 69, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3ryy3Df> > [ბოლოს ნანახია 18.04.2022]. საქართველოს სახელმწიფოს სამოქმედო ანგარიში (28.10.2020) საქმეზე „ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი N 71776/12), § 24, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3EshX31> > [ბოლოს ნანახია 18.04.2022].

<sup>145</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 63.

<sup>146</sup> სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიშზე „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ“, 2021, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3jOrg3P> > [ბოლოს ნანახია 18.04.2022].

ნ.წ. და სხვების საქმის აღსრულებასთან დაკავშირებით გატარებული ზოგადი ღონისძიებების ნაწილში, იუსტიციის სამინისტრო მიუთითებს ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღების თაობაზე.<sup>147</sup> საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება კოდექსის მიღებასა და ძალაში შესვლას, თუმცა მიიჩნევს, რომ კოდექსის მიღება არ არის საკმარისი ევროსასამართლოს მიერ სამართალწარმოებაში ბავშვის მონაწილეობის კუთხით გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მართალია, უშუალოდ ბავშვთა უფლებათა კოდექსი ამ პრობლემას წყვეტს იმით, რომ არ ადგენს საქმის განხილვაში ბავშვის მონაწილეობისთვის ასაკობრივ შეზღუდვას, თუმცა მას ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (სსკ).<sup>148</sup> კერძოდ, სსკ 81-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „სასამართლო უფლებამოსილია, მცირეწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით ან, მცირეწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საკუთარი ინიციატივით, საქმეში მცირეწლოვანს ჩააბას“.<sup>149</sup> ამ ნორმას ახსენებს იუსტიციის სამინისტრო ანგარიშებში იმის წარმოსაჩენად, რომ კანონმდებლობამ გაითვალისწინა საქმის განხილვაში მცირეწლოვნის ჩაბმის შესაძლებლობა,<sup>150</sup> მაგრამ პრობლემას წარმოადგენს სწორედ მცირეწლოვნის მონაწილეობის არასავალდებულობა. როგორც სახალხო დამცველმა უკვე აღნიშნა გასულ წლის ალტერნატიულ ანგარიშში, სსკ 81-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, „სასამართლოს დისკრეციაზე დამოკიდებული მოუხმინოს 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებს“.<sup>151</sup>

ასევე, იუსტიციის სამინისტრო მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც ხელს უწყობს განსახილველ საქმეზე ევროსასამართლოს მიერ დადგენილი დარღვევების სამომავლო პრევენციას, არის „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის მიღება.<sup>152</sup> სამინისტროს თანახმად, კანონით გათვალისწინებულია სოციალური მუშაობა ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვის და მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის სფეროში, რაც

<sup>147</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 69.

<sup>148</sup> სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიშზე „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ“, გვ. 19.

<sup>149</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

<sup>150</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 72; საქართველოს სახელმწიფოს სამოქმედო ანგარიში (28.10.2020) საქმეზე „ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი N 71776/12), § 24, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3EshX31> > [ბოლოს ნანახია 18.04.2022].

<sup>151</sup> სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიშზე „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ“, 2021, გვ. 19.

<sup>152</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 70; სამოქმედო ანგარიში (28.10.2020) - საქართველოს სახელმწიფოს კომუნიკაცია საქმეზე „ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი N 71776/12), § 18.

მოიცავს ბავშვის საპროცესო წარმომადგენლობასაც.<sup>153</sup> ამ კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „სოციალური მუშაკი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სასამართლო პროცესში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან სასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების საფუძველზე“,<sup>154</sup> ხოლო მე-3 პუნქტის მიხედვით, „სოციალური მუშაკი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში და უზრუნველყოს სასამართლოსთვის შემთხვევის ან ბენეფიციარის შესახებ ობიექტური ფსიქოსოციალური დასკვნის მომზადება“.<sup>155</sup> სახალხო დამცველის შეფასებით, აღნიშნული დებულებები არის მხოლოდ ზოგადი ხასიათის და კონკრეტულად არ განსაზღვრავს სამართალწარმოებაში სოციალური მუშაკის სტატუსსა და მის უფლებამოვალეობებს.

იუსტიციის სამინისტროს სამოქმედო ანგარიშის მიხედვით, სოციალური მომსახურების სააგენტო სამოქალაქო საქმეების განხილვაში მონაწილეობს მესამე პირის სტატუსით, რომელსაც არეგულირებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა.<sup>156</sup> ამ საკითხზე სახალხო დამცველმა უკვე აღნიშნა, რომ „მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ ორი კატეგორიის მესამე პირს: მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. გაუგებარია, რომელი საპროცესო სტატუსით სარგებლობენ სოციალური მუშაკები არასრულწლოვანთა საპროცესო წარმომადგენლობის დროს. არც ბავშვის უფლებების კოდექსი და არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ არეგულირებს სოციალური მუშაკის, როგორც საპროცესო წარმომადგენლის როლს და ფუნქციებს სასამართლო პროცესის განმავლობაში“.<sup>157</sup> გარდა ამისა, სახალხო დამცველმა წინა ალტერნატიულ ანგარიშში მიუთითა, რომ არსებული მოწესრიგება შეიცავს ინტერესთა კონფლიქტის რისკს, „რადგან სოციალური მუშაკის სახით ერთიდაიგივე ორგანო გვევლინება ბავშვის საპროცესო წარმომადგენლად სასამართლოს წინაშე, რომელიც ვალდებულია დაიცვას ბავშვის საუკეთესო ინტერესი და ამავდროულად ინდივიდუალურ შემთხვევებში, ვინც ადგენს ბავშვის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, ცხოვრების პირობებს და სხვა“.<sup>158</sup> ინტერესთა კონფლიქტი იქიდანაც გამომდინარეობს, რომ „სახელმწიფოს

---

<sup>153</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 70; საქართველოს სახელმწიფო სამოქმედო ანგარიში (28.10.2020) საქმეზე „ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი N 71776/12), § 18.

<sup>154</sup> „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>155</sup> „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>156</sup> საქართველოს სახელმწიფოს სამოქმედო ანგარიში (28.10.2020) საქმეზე „ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი N 71776/12), § 28.

<sup>157</sup> სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიშზე „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ“, 2021, გვ. 19.

<sup>158</sup> სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიშზე „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ“, 2021, გვ. 20.

მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების უფლებები შეიძლება დაირღვეს თავად სახელმწიფოს მიერ და ასეთ შემთხვევებში სოციალური მომსახურების სააგენტო და იქ მომუშავე სოციალური მუშაკი არ შეიძლება ჩაითვალოს ბავშვის ობიექტურ და მიუკერძოებელ წარმომადგენლად<sup>159</sup> შესაბამისად, საკანონმდებლო დონეზე კვლავ საჭიროა სოციალური მუშაკის, როგორც საპროცესო წარმომადგენლის, სტატუსის დეტალურად განსაზღვრა.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში მოქმედი სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების არასაკმარისი რაოდენობა უარყოფითად აისახება ბავშვთა დაცვაზე, მხარდაჭერასა და მათი საუკეთესო ინტერესების რეალიზებაზე. 2021 წელს სოციალურ მუშაკთა ისედაც არასაკმარისი რაოდენობა 11-ით შემცირდა და ქვეყნის მასშტაბით დასაქმებული დარჩა 257 სოციალური მუშაკი და 17 ფსიქოლოგი.<sup>160</sup> გარდა არასაკმარისი რაოდენობისა, სოციალურ მუშაკთა გადატვირთულობას იწვევს პრაქტიკაში მათი ფუნქციების გაუმიჯნაობა. მართალია, „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონი, იუსტიციის სამინისტროს თანახმად, ერთმანეთისგან გამოყოფს სოციალური მუშაკის ძირითად და სპეციალურ ფუნქციებს,<sup>161</sup> მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერთ სოციალურ მუშაკს პრაქტიკაში არ უწევს რამდენიმე ფუნქციის, მათ შორის საპროცესო წარმომადგენლობის, ოჯახის მხარდამჭერი ღონისძიებების და სხვა ფუნქციების ერთდროულად განხორციელება. სახალხო დამცველის ოფისის საქმისწარმოების, მონიტორინგისა და სოციალურ მუშაკებთან მუდმივი კომუნიკაციის საფუძველზე მიღებული ინფორმაციით, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალურ მუშაკს უწევს ყველა იმ მიმართულებით მუშაობა, რაც შეიძლება არასრულწლოვანს უკავშირდებოდეს. სოციალური მუშაკების ფუნქციების გაუმიჯნაობა იწვევს მათ გადატვირთულობას და სამუშაოს ხარისხის შემცირებას. ამასთან, პრობლემურია სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკების და ადგილობრივი თვითმმართველობების ან სხვა სახელმწიფო უწყებების სოციალური მუშაკების ფუნქციების გამიჯვნაც.

### რეკომენდაციები:

წარმოგიდგინთ სახალხო დამცველის რეკომენდაციებს, რომლებიც მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია ზემოთ განხილულ საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სრულფასოვნად აღსრულების მიზნით.

<sup>159</sup> სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიშზე „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ“, 2021, გვ. 20.

<sup>160</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, გვ. 264.

<sup>161</sup> სამოქმედო ანგარიში (28.10.2020) - საქართველოს სახელმწიფოს კომუნიკაცია საქმეზე „ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი N 71776/12), § 18.



წინამდებარე რეკომენდაციები ასევე ასახულია სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშსა და სპეციალურ ანგარიშებში.

#### იდენტობის ჯგუფის საქმეებზე

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის გზით განისაზღვროს სამართალდარღვევის დისკრიმინაციული მოტივი, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება;
- ჩატარდეს ინტენსიური საზოგადოებრივი კამპანიები დისკრიმინაციის საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად;
- ლგბტ+ ადამიანების გამოხატვის თავისუფლების დასაცავად, მომავალში საჯარო პოლიტიკური თანამდებობის პირებმა გააკეთონ არაორაზროვანი და მკაფიო განცხადებები;
- გატარდეს ქმედითი პრევენციული და პროაქტიული ზომები ლგბტ+ ადამიანების გამოხატვის თავისუფლების დასაცავად;
- უზრუნველყოს 5 ივლისს მომხდარი ყველა დანაშაულის მყისიერი და ეფექტიანი გამოძიება, ძალადობის ორგანიზატორთა ადეკვატური დასჯა.
- შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოსაძიებლად, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნას სპეციალური საგამოძიებო დანაყოფი და აღიჭურვოს შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსებით.

#### ფემიციდის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე

- შემუშავდეს საკანონმდებლო პაკეტი სექსუალური ძალადობის კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან მისასადაგებლად;
- საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს/კრიმინალიზებული გახდეს ეკონომიკური ძალადობა, როგორც ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი ფორმა;
- „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლში შევიდეს ცვლილება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის (ოჯახური დანაშაულის) სრულწლოვანი დაზარალებულისათვის უფასო იურიდიული დახმარება, მიუხედავად მსხვერპლის გადახდისუნარიანობისა, თუ მან ზოგადი წესით არ აირჩია ადვოკატი;
- დამტკიცდეს ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დოკუმენტი (ეროვნული რეფერალური მექანიზმი);
- შემუშავდეს ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამები იმ მოძალადეებისთვის, რომელთა მიმართაც გამოცემულია დამცავი ორდერი, ხოლო სავალდებულო გახდეს მსჯავრდებულებისთვის;
- შემუშავდეს და საჯაროდ მისაწვდომი გახდეს ანგარიში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მუშაობის ეფექტიანობის თაობაზე;

- შემუშავდეს და საჯაროდ მისაწვდომი გახდეს ანგარიში გენერალურ პროკურატურაში დასაქმებული მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მუშაობის ეფექტიანობის თაობაზე.

#### ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებზე

- პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში სათვალთვალო კამერები დამონტაჟდეს ყველა იმ ადგილას, სადაც დაკავებულს და გასაუბრებაზე ნებაყოფლობით მიწვეულ პირს უწევთ ყოფნა;
- დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვროს პატრულ-ინსპექტორების მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება;
- დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს პილოტურ რეჟიმში უზრუნველყოს პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში დაკავებული პირის დაკითხვის პროცესის უწყვეტი აუდიო-ვიდეოგადაღება;
- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახსა და სამარტო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსება შესაძლებელია გამოიყენებოდეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება და ამ ღონისძიების გამოყენებისას დასაბუთდეს, თუ რატომ ჩაითვალა, რომ დეესკალაციის ოთახსა და სამარტო (უსაფრთხო) საკანში მოთავსება წარმოადგენს უალტერნატივო ღონისძიებას. ასევე, დებულებაში გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახის და სამარტო (უსაფრთხო) საკანის გამოყენებამდე, დაწესებულების პერსონალმა უნდა გამოიყენოს სხვა, შედარებით ნაკლებად შემზღვეველი საშუალებები, როგორც არის პერსონალის მიერ უშუალო მეთვალყურეობა და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა.

#### საქმეზე „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“

დაიწყოს საქართველოს გენერალური პროკურატურის რეფორმა, გათვალისწინებული იქნას საპროკურორო საბჭოს კონსტიტუციური როლი და პროკურატურის ეფექტიანობის, დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მიენიჭოს მას შესაბამისი კომპეტენცია.

#### საქმეზე „ამირიძე საქართველოს წინააღმდეგ“

- პენიტენციურ დაწესებულებებში საჩივრების კონფიდენციალურად გაგზავნის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, კონფიდენციალური საჩივრების კონვერტები განათავსოს იმგვარად, რომ კონვერტის მიღება არ იყოს დაწესებულების თანამშრომელზე დამოკიდებული და შეუძლებელი იყოს კონვერტის მიმღები პატიმრის ვინაობის დადგენა. ამასთანავე, ყველა პატიმრისთვის უფასოდ ხელმისაწვდომი იყოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები (ფურცელი, კალამი, კონვერტი) და მიეცეთ შესაძლებლობა საკანში იქონიონ გარკვეული რაოდენობის კონვერტი;

- საჩივრის ყუთები განთავსდეს იმგვარად, რომ არ მოექცეს ვიდეომეთვალყურეობის არეალში და დაცული იყოს საჩივრის გამგზავნის ანონიმურობა;
- შევიდეს ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში“ და გაუქმდეს დისციპლინური სახდელის სახით გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი კონტაქტი დანაშაულს უკავშირდება;
- უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების პერიოდში უზრუნველყოფილ იქნას პატიმართა გარე სამყაროსთან კონტაქტის შენარჩუნება და შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებები დაწესებულებების დებულებებში;
- მიღებულ იქნას ყველა ზომა, რათა სოციალური მუშაკის მიერ ღია წერილის მიღება/ჩაბარების დროს ორ ეგზემპლარად შედგეს დოკუმენტი, რომელიც დადასტურებული იქნება ბეჭდით და რომელშიც პატიმრის თანდასწრებით შევა შემდეგი ინფორმაცია: ა) წერილის ავტორის სახელი და გვარი; ბ) წერილის მიმღები სოციალური მუშაკის სახელი და გვარი; გ) წერილის ჩაბარების თარიღი; დ) წერილის ადრესატი; ე) ფურცლების რაოდენობა. ორივე ფურცელზე ხელი უნდა მოაწერონ პატიმარმა და სოციალურმა მუშაკმა, შევსებული ერთი ფურცელი გადაეცეს პატიმარს, ხოლო მეორე დარჩეს სოციალურ მუშაკს.

საქმეზე „ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“

- საკანონმდებლო ცვლილებების გზით, განისაზღვროს სასამართლოს ვალდებულება უზრუნველყოს 7 წლამდე არასრულწლოვნის ჩართვა სასამართლო პროცესებში, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განისაზღვროს შემთხვევები, როდესაც დაუშვებელია ბავშვის საპროცესო წარმომადგენელი იყოს ამავედროულად მისი კანონიერი წარმომადგენელი (ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, მაგალითად სახელწმიფო მზრუნველობაში მყოფ ბავშვებთან მიმართებით) და განისაზღვროს შესაბამისი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ბავშვის საპროცესო წარმომადგენლობას;
- განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან და ადგილობრივ ხელისუფლებებთან მთავრობის თანამშრომლობით, გაიმიჯნოს მუნიციპალიტეტებში დასაქმებული სოციალური მუშაკების, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკებისა და საგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკების ფუნქცია-მოვალეობები და გაიწეროს, მათ შორის, კოორდინაციის სახელმძღვანელო დოკუმენტი;
- არსებული საჭიროებებისამებრ გაიზარდოს სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგთა რაოდენობა.